

კარი III - საგნობრივი სასწავლო გეგმები - პროგრამები

კლასების მიხედვით

თავი 1. სასწავლო გეგმა - სახელმწიფო ენა

მუხლი 1. ქართული ენა და ლიტერატურა

პუნქტი 1. ქართული ენა და ლიტერატურა დაწყებით საფეხურზე

ქვეპუნქტი 1. I კლასი

საფეხურებრივი სტანდარტის შედეგები და მათი შეფასების ინდიკატორები

მიმართულება: ზეპირმეტყველება	
სტანდარტის შედეგები	I კლასის შეფასების ინდიკატორები
ქართ.დაწყ.(I).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი სამეტყველო ქცევის უნარის გამოვლენა.	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სწორად რეაგირებს ნაცნობ სამეტყველო სიტუაციებში; ➤ გასაგებად გამოხატავს სათქმელს; ➤ გადმოსცემს ფაქტებს; ➤ საჭიროების მიხედვით, ადეკვატურად ცვლის სამეტყველო როლებს (უსმენს სხვებს, სვამს/ პასუხობს შეკითხვებს); ➤ ასრულებს მასწავლებლის მარტივ ზეპირ ინსტრუქციებს; ➤ ამოიცნობს და მიზნის შესაბამისად იყენებს მეტყველების ვერბალურ და არავერბალურ საშუალებებს (ჟესტებს, მიმიკას და სხვ.).
ქართ.დაწყ.(I).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა.	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ისმენს და ადეკვატურად აღიქვამს მარტივ ინფორმაციას ნაცნობ თემაზე; ➤ ამოიცნობს ზღაპარს დასაწყისისა და დასასრულის ფორმულების მიხედვით („იყო და არა იყო რა“; „ჭირი იქა, ლხინი აქა“...); ➤ ამოიცნობს ფაქტების/მოქმედებების თანამიმდევრობას ტექსტში; ➤ ამოიცნობს კონკრეტულ ინფორმაციას; ➤ აკავშირებს ერთმანეთთან ტექსტში მოცემულ კონკრეტულ ინფორმაციას (მასწავლებლის დახმარებით ან დამოუკიდებლად); ➤ ამოიცნობს მოსმენილი მხატვრული ტექსტის პერსონაჟის ემოციურ მდგომარეობას (მხიარული, მოწყენილი, გაკვირვებული და ა. შ.); ➤ ილუსტრაციებს უკავშირებს მოსმენილ ტექსტს და განალაგებს მათ მოქმედებათა თანამიმდევრობის მიხედვით; ➤ გადმოსცემს ნაცნობი ტექსტის/ტექსტის ეპიზოდის შინაარსს (მარტივი საყრდენების გამოყენებით ან მათ გარეშე).

<p>ქართ.დაწყ.(I).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს პირადი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის თემის, მასში განხილული საკითხების მიმართ; მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟ(ებ)ის, მისი/მათი ქცევის შეფასება და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა.</p>	<p>მოსწავლე</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ იხსენებს მოსმენილის მსგავს ამბავს, ცდილობს ახსნას, თუ რით ჰგავს განხილული ამბავი მოსმენილს; ➤ აფასებს პერსონაჟსა და მის საქციელს (კეთილია / ბოროტია; კარგად მოიქცა / ცუდად მოიქცა და ა.შ.); ➤ აფასებს მოსმენილს (მომეწონა / არ მომეწონა), ცდილობს ნათქვამის ახსნას.
<p>ქართ.დაწყ.(I).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკისა და ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციების სათანადოდ გამოყენება; მართლმეტყველებისა და სამეტყველო ეტიკეტის საბაზისო ნორმების დაცვა.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მკაფიოდ გამოთქვამს ბგერებს/ მარცვლებს სიტყვაში; ➤ განარჩევს მსგავსი ჟღერადობის მარცვლებს/სიტყვებს; ➤ ადეკვატურად იყენებს აქტიურ ლექსიკას; ➤ პაუზით გამოყოფს სიტყვებს ერთმანეთისგან; ➤ მეტყველებისას იყენებს წინადადების მოდალობებს (თხრობას, შეკითხვას, თხოვნას, ბრძანებას) და შესაბამის ინტონაციას; ➤ იყენებს საკავშირებელ სიტყვებს (და, რომ, მაგრამ...); ➤ ამოიცნობს და სათანადოდ იყენებს სამეტყველო ეტიკეტის ენობრივ ფორმულებს (მისალმება, დამშვიდობება, ზოდის მოხდა, მადლობის გადახდა და ა. შ.); ➤ წინადადების დასრულებას გამოხატავს პაუზით და შესაბამისი ინტონაციით; ➤ თავს არიდებს პარაზიტი ჩანართების („ესე იგი“, „დიახ“, „მნა-მნა“...) გამოყენებას სამეტყველო პაუზების დროს; ➤ მეტყველებს გაბმულად (შეფერხებების გარეშე), მკაფიოდ და გასაგებად.
<p>ქართ.დაწყ.(I).5. მოსწავლემ უნდა შეძლოს ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების მიზნის შესაბამისად გამოყენება.</p>	<p>მოსწავლე</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სვამს შეკითხვებს უცნობი სიტყვის მნიშვნელობის, კონკრეტული ფაქტის/ინფორმაციის დასაზუსტებლად; ➤ მიზნის შესაბამისად იყენებს საყრდენებს (მაგ., მინიშნებებს, ილუსტრაციებს, შეთავაზებულ მარტივ სქემას, ინსტრუქციას და სხვ.).
<p>დავალბათა / აქტივობათა ნიმუშები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სიტუაციური/როლური თამაშები, ჯგუფური აქტივობები (მოსწავლეთათვის სხვადასხვა სამეტყველო როლის შეთავაზებით); ➤ ინტერაქცია (კითხვა-პასუხი) ნაცნობი ტექსტის/თემის შესახებ; ➤ თხრობა, საუბარი კონკრეტულ ფაქტებზე წინასწარ მიცემული მარტივი გეგმის/ინსტრუქციის საფუძველზე (მაგ., საუბარი ყოველდღიური საქმიანობის შესახებ, რუბრიკებზე: „დილა“, „შუადღე“, „სალამო“ დაყრდნობით); ➤ პერსონაჟის განსახიერება (შესაბამისი ხმის ტემპით, შესტებით, მიმიკით, ინტონაციით, რიტმული მოძრაობებით) და/ან განსახიერებელი პერსონაჟის ამოცნობა; ➤ ილუსტრაციის აღწერა მოქმედების დასახელებით, საგნებისა და მათი განლაგების (წინ, უკან, ზევით, ქვევით, მარჯვნივ, მარცხნივ) აღნიშვნით; ➤ მოსმენილი ტექსტის ცალკეული მონაკვეთის/მონაკვეთების მიხედვით ილუსტრაციების შექმნა და დასათაურება და სხვ. 	

მიმართულება: კითხვა

სტანდარტის შედეგები	I კლასის შეფასების ინდიკატორები
<p>ქართ. დაწყ.(I).6. მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფულად კითხვა.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სიტყვებში გამოყოფს და წარმოთქვამს მარცვლებს, მარცვლებში – ბგერებს; ➤ სიტყვებს შლის ბგერებად, ბგერებს აერთიანებს სიტყვებად; ➤ ასოებს ამთლიანებს მარცვლებად, მარცვლებს – სიტყვებად; ➤ თავისუფლად ცნობს ხშირად გამოყენებული სიტყვის ორთოგრაფიულ ხატს; ➤ თავისუფლად კითხულობს ანბანის ყველა ასოს; ➤ თავისუფლად კითხულობს ნაცნობ სიტყვებს; ➤ წინადადების საზღვრების შესაბამისად აკეთებს პაუზას; ➤ ხმამაღლა (მთლიანი სიტყვებით ან დამარცვლით) კითხულობს და იგებს მარტივი წინადადებებით შედგენილ მცირე ზომის სხვადასხვა ტიპის ტექსტებს; ➤ ხმამაღლა კითხვისას სწორად მონიშნავს წინადადების საზღვრებს ტექსტში, იცავს პაუზას; ➤ ცდილობს სათანადო ინტონაციით გამოხატოს წინადადების მოდალობა (თხრობითი და კითხვითი წინადადებების); ➤ აგრძელებს სხვის მიერ დაწყებულ კითხვას სათანადო ადგილიდან.
<p>ქართ.დაწყ.(I).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთადაკავშირება.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ამოიცნობს ტექსტში მოცემულ კონკრეტულ ინფორმაციას (ვინ, სად, როდის, რამდენი, როგორ...); ➤ აკავშირებს ერთმანეთთან ტექსტში მოცემულ კონკრეტულ ინფორმაციას (მასწავლებლის დახმარებით ან დამოუკიდებლად); ➤ ამოიცნობს მარტივი სახის პრაგმატული ტექსტების (მაგ., მისალოცი/მოსაწვევი ბარათის, რეკლამის, გამაფრთხილებელი აზრის, სხვ.) დანიშნულებას, ადრესატს; ➤ გამოაქვს დასკვნა ნაწარმოებში წამოწეულ ზნეობრივ და მორალურ საკითხებზე/თემებზე (მაგ., სიზარმაცე ცუდია, უნდა იყო მეგობრული ..); ➤ იგებს და ასრულებს მარტივი ენით დაწერილ სამ- ან ოთხსაფეხურიან ინსტრუქციებს (მაგ., იცავს უსაფრთხოების წესებს, ქმნის მარტივ ნაკეთობას და სხვ.); ➤ დამოუკიდებლად იგებს სავარჯიშოს/დავალების პირობას; ➤ ერთმანეთთან აკავშირებს ტექსტში მოცემულ კონკრეტულ ინფორმაციასა და ილუსტრაციას.
<p>ქართ.დაწყ.(I).8. მოსწავლემ უნდა შეძლოს მცირე ზომის მხატვრული ტექსტების ინტეგრირება ვერბალური და არავერბალური გზით (მაგ., პანტომიმით, ჟესტებით, მიმიკით, როლური თამაშით); ვერბალური ინფორმაციის ვიზუალურად გარდაქმნა და/ან პირიქით.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ხატავს/აფერადებს წაკითხული ნაწარმოების ცალკეულ ეპიზოდს/პერსონაჟს; ➤ წარმოადგენს მხატვრული ტექსტის პერსონაჟს სათანადო ხმის ტემბრით, ინტონაციით, ჟესტ-მიმიკით (ნაწარმოების ინსცენირების, როლური თამაშის დროს); ➤ ილუსტრაციაზე დაყრდნობით ყვება ამბავს;
<p>ქართ.დაწყ.(I).9. მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ წაკითხული ტექსტის მიმართ გამოხატავს პირად დამოკიდებულებას (მომეწონა/არ მომეწონა); ➤ ვერბალური თუ არავერბალური ტექსტებით გადმოცემულ ამბავს უკავშირებს საკუთარ გამოცდილებას (მაგ., მე როგორ მოვიქცეოდი/მოვიქეცი ანალოგიურ სიტუაციაში);

საკითხების შეფასება.	<ul style="list-style-type: none"> ➤ ავასებს პერსონაჟის საქციელს (კარგად/ცუდად მოიქცა; კეთილია, ზარმაცია და ა.შ)
<p>ქართ.დაწყ. (I).10. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მათგან რომელი ელემენტების, სტრუქტურული და კომპოზიციური მახასიათებლების ამოცნობა.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ განარჩევს ერთმანეთისაგან წიგნის გარეკანს, თავფურცელს, სათაურს, ძირითად ტექსტს, ავტორის გვარსა და სახელს, ტექსტის ბოლოს მოცემულ კითხვებს, სხვ.; ➤ ამოიცნობს ტექსტის მათგან რომელი ელემენტებს (სათაურს, ილუსტრაციას, აბზაცს, წარწერას, ლოგოს, ტიპოგრაფიულ მახასიათებლებს, მაგ., მსხვილ შრიფტს და სხვ.); ➤ ამოიცნობს ტექსტის, აბზაცის, სტროფის, წინადადების დასაწყისსა და დასასრულს; ➤ განარჩევს მარტივი სახის პრაგმატული ტექსტების (წერილის, მისალოცი ბარათის, სხვ.) სტრუქტურულ ელემენტებს (მიმართვას, ძირითად ტექსტს, ხელმოწერას), ამოიცნობს მათს ფუნქციას.
<p>ქართ.დაწყ.(I).11. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეზე, ენობრივ ფორმებზე დაკვირვება.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ განარჩევს წინადადებათა მოდულობებს (თხრობით, კითხვით, ბრძანებით წინადადებებს); ➤ ცდილობს უცნობი ლექსიკური ერთეულების, ენობრივი ფორმების მნიშვნელობის გააზრებას (სხვათა დახმარებით); ➤ ამოიცნობს სასვერ ნიშნებს (წერტილს, კითხვის ნიშანს, ძახილის ნიშანს).
<p>ქართ.დაწყ.(I).12. მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების მიზნის შესაბამისად გამოყენება.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სიტყვის/წინადადების/მონაკვეთის უკეთ გასაგებად უბრუნდება წაკითხულს; ➤ კონტექსტზე დაყრდნობით ცდილობს ამოიცნოს უცნობი სიტყვის მნიშვნელობა ან მიმართავს მასწავლებელს/მშობელს; ➤ ილუსტრაციაზე დაყრდნობით გამოთქვამს ვარაუდს, რაზე/ვისზე შეიძლება იყოს ნაწარმოები; ➤ საჭიროებისამებრ იყენებს საყრდენებს/მინიშნებებს (ილუსტრაციას, მარტივ გეგმას, სხვ.).
<p>დავალებათა / აქტივობათა ნიმუშები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სიტყვებში ნაცნობი ასოების პოვნა და მათი შესაბამისი ბგერების წარმოთქმა; ➤ სხვადასხვა სიტყვის ორთოგრაფიული ხატების შედარება, საერთო მარცვლების, ასოების პოვნა; ➤ ასოებისაგან სიტყვის, მოკლე წინადადების შედგენა მოძრავი ანბანის გამოყენებით; ➤ სიტყვაში გამოტოვებული ასოს აღდგენა, წინადადებაში - გამოტოვებული სიტყვისა; ➤ სიტყვათა ჩამონათვალში მითითებული სიტყვის პოვნა; ➤ სიტყვის გრაფიკული ხატისა და სურათის დაკავშირება; ➤ საბავშვო წიგნების, ჟურნალების დათვალიერება-განხილვა მათს ფორმალურ ნიშნებზე (მაგ., ილუსტრაციების, მსხვილი შრიფტისა და ა.შ.) დაკვირვების მიზნით; ➤ რებუსების ამოხსნა; ➤ მიჯრით მიწყობილი სიტყვების ხაზით გამოყოფა; ➤ გრძელ სიტყვაში მოკლე სიტყვის ამოცნობა; ➤ აბზაცში წინადადებების, წინადადებაში/სტრიქონში სიტყვების რაოდენობის დათვლა; ➤ ინტერაქცია (კითხვა-პასუხი) წაკითხული ტექსტების თემის, მხატვრული ტექსტების პერსონაჟების შესახებ (მათი ქცევის შეფასების მიზნით); ➤ ნაცნობი ტექსტის ალტერნატიული სათაურის მოფიქრება; ➤ ამბის (ზღაპრის, მცირე ზომის მოთხრობის) დასასრულის შეცვლა; ➤ ილუსტრაციების დასათაურება; ➤ წაკითხული ტექსტის მიხედვით აპლიკაციების, კოლაჟების შექმნა; ➤ ლექსიკური სავარჯიშოები (მაგ.,საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვების დაკავშირება: ცუდი - კარგი, ბოროტი - კეთილი); ➤ წაკითხული ტექსტის სახელდახელო ინსცენირება და სხვა. 	

მიმართულება: წერა

სტანდარტის შედეგები	I კლასის შეფასების ინდიკატორები
<p>ქართ.დაწყ.(I).13. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის მარტივი ტექსტების შექმნა ნაცნობ თემატიკაზე სხვადასხვა მიზნით.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ წერს მარტივ წინადადებებს, ფრაზებს, მცირე ზომის ტექსტებს ნაცნობ თემებზე, გასაგებად გადმოსცემს აზრს; ➤ ავსებს ტექსტში ნაკლულ ინფორმაციას; ➤ წარწერას უკეთებს ილუსტრაციას. ➤ წერილობით პასუხობს მარტივ კითხვებს; ➤ წერს და აფორმებს მარტივი სახის პრაგმატულ ტექსტებს (მოდელის საყრდენების, მინიშნებების გამოყენებით).
<p>ქართ.დაწყ.(I).14. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ელემენტების ადეკვატურად გამოყენება; კალიგრაფიისა და მართლწერის საბაზისო ნორმების დაცვა.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ აღწერს კონკრეტული ასოს ზედა/ქვედა/შუა ნაწილებს (მაგ., სად არის სწორი ხაზი, რგოლი, რკალი, საით მრგვალდება რკალი, რამდენი რკალია და ა.შ.); ➤ იცავს ხაზოვან სისტემაში ასოების განლაგების პრინციპს, ➤ ხელის სწორი მოძრაობით წერს ანბანის ყველა ასოს შესაბამისი მიმართულებით; ➤ დამოუკიდებლად წერს სიტყვებს, რომელთა ორთოგრაფიული ხატი მისთვის ნაცნობია; ➤ წერს აკურატულად, იცავს კალიგრაფიის საბაზისო პრინციპებს (მანძილს ასოებს, სიტყვებს, სტრიქონებს შორის, სხვ.); ➤ სათანადოდ იყენებს საგნების, მათი თვისებებისა და მოქმედების გამომხატველ სიტყვებს; ➤ სიტყვების დასაკავშირებლად მართებულად იყენებს კავშირებს (და, მაგრამ...); ➤ სათანადოდ იყენებს სასვენ ნიშნებს წინადადების ბოლოს (წერტილს, კითხვის ნიშანს).
<p>ქართ.დაწყ.(I).15. მოსწავლემ უნდა შეძლოს წერის ნაცნობი სტრატეგიების მიზნის შესაბამისად გამოყენება.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ იყენებს მოდელს, მითითებებს/საყრდენებს (ტექსტების შედგენისა და სათანადოდ გაფორმების მიზნით); ➤ სიტყვის დაწერამდე ჩუმი ხმით წარმოთქვამს მას (დასაწერ სიტყვას); ➤ სიტყვის წერისას ჩუმი ხმით ასახელებს გამოსაყვანი ასოს შესაბამის ბგერას; ➤ ხმადაბლა, დამარცვლით გადაიკითხავს ნაწერს შეცდომების აღმოჩენისა და გასწორების მიზნით.
<p>დავალებათა/აქტივობათა ნიმუშები</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ნაცნობი ასოს მოხაზულობის ჰაერში გამოსახვა (ხელის სწორი მოძრაობით); ➤ ასოების გამოძერწვა, გაფერადება, გამოწერა წერტილების შეერთებით; ➤ სიტყვების/წინადადებების გადაწერა (წიგნიდან, დაფიდან); ➤ ნაცნობ თემაზე/საკითხზე მოცემული სიტყვებისგან წინადადებების შედგენა და დაწერა; ➤ მასწავლებლის მიერ მოცემული სიტყვების მიხედვით მარტივი წინადადებების შედგენა; ➤ წინადადების/მცირე ზომის ტექსტის შედგენა ნაცნობ თემაზე საყრდენების (ჩარჩო-კონსტრუქციების) გამოყენებით ან მათ გარეშე („ჩემი ოჯახი“, „ჩემი მეგობარი“ და სხვ.); ➤ კარნახით წერა (ასოების, მარცვლების, სიტყვების, წინადადებების); ➤ ნაცნობი თემატიკის მარტივ ტექსტში ნაკლული ინფორმაციის შევსება; 	

- მარტივი სახის მცირე ზომის პრაგმატული ტექსტების (მისალოცი/მოსაწვევი ბარათის, წერილის, საყიდლების სიის, დღის რეჟიმის, გამაფრთხილებელი აზრის, საყვარელი კერძების მენიუს) შედგენა მოდელის, მინიშნებების/საყრდენების გამოყენებით;
- მარტივი კითხვარის შევსება ბიოგრაფიული და/ან სხვა მონაცემებით (მაგ., „მე მქვია...“, „მე მიყვარს...“, სხვ.);
- არეული რიგით მოწოდებული სიტყვებისგან წინადადების/მცირე ზომის პრაგმატული ტექსტის შედგენა (მაგ., გამაფრთხილებელი აზრის შექმნა სიტყვებისგან: „წესები, მოძრაობის, დაიცავი“) და სხვ.

პროგრამის შინაარსი:

შედეგების მიღწევა შესაძლებელია მოცემული შინაარსის საფუძველზე:

1. ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება

ძირითადი თემატიკა: ბგერა და ასო; მარცვალი. კავშირი და განსხვავება დონეებს შორის: სიტყვა - წინადადება; მარტივი წინადადების აგება; თხრობითი, კითხვითი და ბრძანებითი წინადადებების ინტონაციის გამოხატვა; წინადადება - დასრულებული აზრი.

2. ენის კომუნიკაციური ასპექტები

ძირითადი თემატიკა: მოსმენისა და საუბრის წესები; თავაზიანი მეტყველება; მეტყველების ეტიკეტური ფორმები (მისალმება, დამშვიდობება, ბოდიშის მოხდა, მადლობის გადახდა, თხოვნა); სიტყვიერი და არასიტყვიერი კომუნიკაცია (ჟესტები, მიმიკა, ხმის დონეები, ინტონაცია); წერილობითი ტექსტის გრაფიკული სტრუქტურა: ტექსტი, სათაური, ავტორი, აბზაცი, სტრიქონი, წინადადება, განსხვავებული ტიპის შრიფტები, ილუსტრაციები.

3. მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა

ძირითადი თემატიკა: მცირე ზომის ლექსები, მოთხრობები და ზღაპრები თანატოლებზე, სამშობლოზე, მეგობრობაზე, სიმართლეზე, ადამიანურ ურთიერთობებზე, ცხოველებზე, სიკეთესა და ბოროტებაზე, ადამიანისა და ბუნების ურთიერთობაზე.

საკითხავი მასალა: ლიტერატურული და ხალხური ზღაპრები; მცირე ზომის ფოლკლორული ტექსტები: ენის გასატეხები, გამოცანები, ანდაზები, ლექსები; ქართული და უცხოური საბავშვო კლასიკა და თანამედროვე მწერლების ზღაპრები, მოთხრობები, კომიქსები, ქართული საბავშვო ლექსები.

ქვეპუნქტი 2. II კლასი

საფეხურებრივი სტანდარტის შედეგები და მათი შეფასების ინდიკატორები

მიმართულება: ზეპირმეტყველება	
სტანდარტის შედეგები	II კლასის შეფასების ინდიკატორები
<p>ქართ.დაწყ.(I).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი საკომუნიკაციო სიტუაციის ადეკვატური სამეტყველო ქცევის უნარის გამოვლენა.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მიზნის შესაბამისად გადმოსცემს კონკრეტულ ინფორმაციას, ➤ ისმენს და ადეკვატურად აღიქვამს ინფორმაციას ნაცნობ თემაზე; ➤ მონაწილეობს ინტერაქციაში ნაცნობ თემატიკაზე; ➤ გადმოსცემს კონკრეტულ ფაქტს / მოვლენას საკუთარი ცხოვრებიდან.
<p>ქართ.დაწყ.(I).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ამოიცნობს სამეტყველო სიტუაციის ადრესანტს (ვინ ლაპარაკობს), ადრესატს (ვის ელაპარაკებიან) და საუბრის თემას. ➤ სვამს / პასუხობს შეკითხვებს მოსმენილ ტექსტთან დაკავშირებით; ➤ ასათაურებს ტექსტს; ➤ ტექსტზე დაყრდნობით ახასიათებს პერსონაჟებს (მათს გარეგნობას, ნიშან-თვისებებს); ➤ საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ნაცნობი ტექსტის ეპიზოდის შინაარსს (ილუსტრაციების, სხვა საყრდენების გამოყენებით); ➤ აგრძელებს სხვის მიერ დაწყებულ თხრობას სათანადო ადგილიდან.
<p>ქართ.დაწყ.(I).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს პირადი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის თემის, მასში განხილული საკითხების მიმართ; მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟ(ებ)ის, მისი/მათი ქცევის შეფასება დასაკუთარი თვალსაზრისის ახსნა.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ გამოხატავს პირად დამოკიდებულებას მხატვრული ტექსტების პერსონაჟისა და მისი მოქმედების მიმართ (მომწონს / არ მომწონს, კარგად მოიქცა / ცუდად მოიქცა; კეთილია, გონიერია და ა.შ.); ➤ ისმენს ტექსტს და ასახელებს შესაბამისი თემატიკის მულტფილმს, საბავშვო ფილმს; იხსენებს მსგავსსა და განსხვავებულ ადგილებს ამ მულტფილმებიდან და საბავშვო ფილმებიდან; ➤ აკავშირებს მოსმენილ ტექსტში ასახულ ამბავს პირად გამოცდილებასთან (იხსენებს მსგავს შემთხვევას, პერსონაჟს უდარებს თავის მეგობარს, სხვ.); ➤ გამოხატავს კონკრეტული პერსონაჟის ქმედებით აღძრულ ემოციებს (მაგ., გამაკვირვა, შემეცოდა და ა. შ.).
<p>ქართ.დაწყ.(I).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკისა და ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციების სათანადოდ გამოყენება; მართლმეტყველებისა და სამეტყველო ეტიკეტის საბაზისო ნორმების დაცვა.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ამბის გადმოცემის, ნაცნობი საგნის თვალსაჩინო ნიშნებით აღწერა-დახასიათების დროს იყენებს მართებულ სიტყვაფორმებსა და მარტივ წინადადებებს; ➤ განარჩევს წინადადების მოდალობებს (თხრობას, კითხვას, თხოვნას, ნატვრას, ბრძანებას) და წარმოთქვამს მათ შესაბამისი ინტონაციით; ➤ სათანადოდ იყენებს კავშირებს (ან, მაგრამ...); ➤ ადრესატის გათვალისწინებით წარმართავს ეტიკეტურ დიალოგებს ნაცნობ თემებზე (მიპატიჟება, თავაზიანი თხოვნა ან უარი და ა. შ.), შეარჩევს მართებულ გამონათქვამს სამეტყველო სიტუაციისა და ადრესატის გათვალისწინებით (მაგ., როგორ ხარ? / ბრძანდებით?).

ქართ.დაწყ.(I).5. მოსწავლემ უნდა შეძლოს ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების მიზნის შესაბამისად გამოყენება.

მოსწავლე:

- იყენებს საყრდენებს (მაგ., ილუსტრაციებს, სურათებს, ნახატებს, სხვ.);
- იყენებს არავერბალური მეტყველების საშუალებებს.

დავალებათა / აქტივობათა ნიმუშები:

- მინიდილოგების მოსმენა და შესაბამისი სამეტყველო სიტუაციის ამოცნობა;
- მინიდილოგების გათამაშება ნაცნობ თემაზე; ინფორმაციის პრეზენტაცია (მაგ., წინასწარ შეთავაზებული მარტივი მოსაწვევი ბარათის და/ან აფიშის მონაცემების საფუძველზე ზეპირი განცხადების გაკეთება დაგეგმილი ღონისძიების რაობის, ჩატარების დროს, ადგილის და სხვ. შესახებ);
- ილუსტრაციებზე დაყრდნობით უცნობი ტექსტის თემის ამოცნობა; ვარაუდის გამოთქმა ტექსტის შესაძლო შინაარსის შესახებ;
- ნაცნობი ტექსტის ცალკეული ეპიზოდის ილუსტრირება და ილუსტრაციების დასათაურება;
- მოსმენილი ტექსტის დასათაურება;
- ინტერაქცია (კითხვა-პასუხი) მოსმენილ ტექსტთან დაკავშირებით;
- პერსონაჟის, ობიექტის ან მოვლენის ჯგუფური დახასიათება;
- მინიინტერვიუს მოწყობა მეწყვილესთან და მიღებული ინფორმაციის თანაკლასელთათვის გაზიარება (მაგ., ინტერვიუ თემაზე: „საცხოვრებელი გარემო“: (მეწყვილის სახელი) ცხოვრობს ძნელადის ქუჩაზე, ცხრასართულიან სახლში. სახლს აქვს დიდი ეზო...“);
- სხვადასხვა მოდალობის მიხედვით წინადადებების შედგენა და გამოთქმა შესაბამისი ინტონაციით;
- წინადადების მოდალობების მართებულად გამოყენება იმიტირებულ სიტუაციაში;
- იმიტირებული სიტუაციის ორგანიზება ეტიკეტური მეტყველების ენობრივი ფორმულების გამოყენებით და სხვ.

მიმართულება: კითხვა	
სტანდარტის შედეგები	II კლასის შეფასების ინდიკატორები
<p>ქართ.დაწყ.(I).6. მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფულად კითხვა.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ თავისუფლად ამოიცნობს ნაცნობ სიტყვებს; ➤ დამარცვლით კითხულობს უცნობ სიტყვებს; ➤ ხმამაღლა (მთლიანი სიტყვებით ან დამარცვლით) კითხულობს და იგებს მარტივი წინადადებებით შედგენილ მცირე ზომის სხვადასხვა ტიპის ტექსტებს; ➤ ხმამაღლა კითხვისას სწორად მონიშნავს წინადადების საზღვრებს ტექსტში, იცავს პაუზას; ➤ სათანადო ინტონაციით გამოხატავს წინადადების მოდალობას (თხრობითი, კითხვითი ბრძანებითი წინადადებების); ➤ აგრძელებს სხვის მიერ დაწყებულ კითხვას სათანადო ადგილიდან; ➤ პოულობს და კითხულობს ტექსტში მასწავლებლის მიერ მითითებულ ადგილებს. ➤ კითხულობს ხმამაღლა და მკაფიოდ.
<p>ქართ.დაწყ.(I).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება;</p> <p>ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთდაკავშირება.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ განარჩევს თხრობასა და დიალოგს, მოიძიებს რეპლიკების ავტორებს; ➤ ტექსტის კონკრეტულ მონაკვეთში მოიძიებს მითითებულ სიტყვას/წინადადებას, (მაგ., პერსონაჟთა სახელებს, ცხოველს, სათამაშოს და სხვ.); ➤ ამოკრებს კონკრეტულ ინფორმაციას (მაგ., რომელ დღეს და რომელ საათზეა ესა თუ ის მულტფილში, კვირაში რამდენჯერ არის ჭადრაკის წრე და სხვ.); ➤ აჯგუფებს ტექსტში მოცემულ ინფორმაციას კონკრეტული ნიშნების მიხედვით (მასწავლებლის დახმარებით ან დამოუკიდებლად) (მაგ., შინაური და გარეული ცხოველები, ხილი და ბოსტნეული, ზამთრის თემატიკის ამსახველი ლექსიკა სხვ.); ➤ თანამიმდევრულობის დაცვით, საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს წაკითხული ტექსტის/ტექსტის მონაკვეთის შინაარსს. ➤ პოულობს ტექსტის კონკრეტულ მონაკვეთში ილუსტრაციის შესაბამის ეპიზოდს. ➤ ილუსტრაციის მიხედვით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შესაძლო შინაარსის შესახებ;
<p>ქართ.დაწყ.(I).8. მოსწავლემ უნდა შეძლოს მცირე ზომის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტირება ვერბალური და არავერბალური გზით (მაგ., პანტომიმით, ქესტებით, მიმიკით, როლური თამაშით); ვერბალური ინფორმაციის ვიზუალურად გარდაქმნა და/ან პირიქით.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ქმნის წაკითხული / მოსმენილი ტექსტის ან მისი ფრაგმენტის სიუჟეტურ ნახატს; ➤ ირჩევს პერსონაჟს / რომელიმე მოქმედებას / მოქმედების ადგილს და ქმნის ნახატს საკუთარი ინტერპრეტაციით, ფანტაზიით; ➤ ქმნის ნახატს, რომელშიც გადმოცემულია მოსმენილი / წაკითხული ამბის გაგრძელება; ➤ ასათაურებს საკუთარი ინტერპრეტაციით ან ფანტაზიით შექმნილ ნახატს / წაკითხული ან მოსმენილი ტექსტის საფუძველზე დამოუკიდებლად შექმნილი ამბის გაგრძელებას და ხსნის, რატომ შეურჩია ნახატს ასეთი სათაური; ➤ გამოძერწავს პერსონაჟ(ებ)ს; ➤ ნასწავლი მუსიკალური მელოდიით აფორმებს (მიუსადაგებს) ტექსტის მონაკვეთს.

<p>ქართ.დაწყ.(I).9. მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული საკითხების შეფასება.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ აფასებს მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟის საქციელს; ➢ გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ნაწარმოებში გადმოცემული მოვლენისადმი/პერსონაჟისადმი; ➢ ასახელებს წაკითხული ტექსტის შესაბამისი თემატიკის მულტფილმს, საბავშვო ფილმს, ასახელებს მსგავს / განსხვავებულ ადგილებს.
<p>ქართ.დაწყ.(I).10. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მათგან რომელი ელემენტების, სტრუქტურული და კომპოზიციური მახასიათებლების ამოცნობა.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ გამოყოფს ტექსტის მათგან რომელი ელემენტებს (სათაურს, ძირითად ტექსტს, ავტორს); ➢ ტექსტის მათგან რომელი ელემენტებზე დაკვირვებით ამოიცნობს, რა ტიპის ინფორმაციაა მოცემული კონკრეტული სახის ტექსტში (მაგ., ტელეპროგრამაში - გადაცემის ტიპი, დღე, საათი; კულინარიულ რეცეპტში - მასალის ჩამონათვალი, რაოდენობა, მომზადების წესი და სხვ.); ➢ ასახელებს ან მიუთითებს, ტექსტის რომელ ნაწილში უნდა ეძებოს კონკრეტული ინფორმაცია (მაგ., გაკვეთილების ცხრილში სად არის განთავსებული საგნების ჩამონათვალი, სად - კვირის დღეები).
<p>ქართ.დაწყ.(I).11. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეზე, ენობრივ ფორმებზე დაკვირვება.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ ადარებს და კითხვის დასმის საშუალებით აჯგუფებს სიტყვებს (სახელებსა და მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებს); ➢ განარჩევს და ასახელებს პერსონაჟის / ობიექტის დამახასიათებელ სიტყვებს შინაარსობრივი თვალსაზრისით (საგნის, პიროვნების აღმნიშვნელ სიტყვებს, მოქმედება-მდგომარეობის აღმნიშვნელ ლექსიკას...); ➢ აკავშირებს ერთმანეთთან საგნისა და მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებს; ➢ ადარებს და კითხვის დასმის საშუალებით აჯგუფებს სიტყვებს (სახელებსა და მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებს).
<p>ქართ.დაწყ.(I).12. მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების მიზნის შესაბამისად გამოყენება.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ უბრუნდება წაკითხულ კონკრეტული ინფორმაციის მოსაძიებლად, ტექსტის უკეთ გასააზრებლად; ➢ სვამს კითხვებს ტექსტში მოცემული ინფორმაციის დასაზუსტებლად; ➢ იყენებს სათაურსა და ილუსტრაციას ტექსტის შესაძლო შინაარსის ამოსაცნობად; ➢ შემუშავებული აქვს მარტივი წესი, რომლის მიხედვით წიგნში იოლად ჩაინიშნავს ან მოძებნის კონკრეტულ ადგილს; ➢ ყურადღებას აქცევს და იყენებს წიგნის სარჩევს, სახელმძღვანელოში მოცემულ პირობით ნიშნებს; ➢ იყენებს მარტივ გრაფიკულ სქემებს, გრაფიკულ მათგან რომელი ელემენტებს ინფორმაციის დასაჯგუფებლად; ➢ უცნობი სიტყვების მნიშვნელობის ამოსაცნობად აკვირდება კონტექსტს, იყენებს ტექსტის შემდეგ მოცემულ სიტყვათა განმარტებებს, ან მიმართავს მასწავლებელს/მშობელს.
<p>დავალებათა / აქტივობათა ნიმუშები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ ტექსტის კონკრეტულ მონაკვეთში მითითებული სიტყვების მოძიება (მაგ., პერსონაჟთა სახელების, ცხოველების, რეპლიკის ავტორის/ადრესატისა და სხვ.); ➢ არეული რიგით მოწოდებული წინადადებების სწორი თანამიმდევრობით წარმოდგენა წაკითხული ტექსტის შინაარსის აღდგენის მიზნით; ➢ დიალოგის კითხვა წყვილებში; ➢ მხატვრული ტექსტის პერსონაჟთა ამოცნობა მათი დამახასიათებელი ნიშან-თვისების მიხედვით; პერსონაჟთა გარეგნობის, ჩაცმულობის აღწერა; 	

- ილუსტრაციების მიხედვით (შესაძლოა კომპიუტერის, პროექტორის გამოყენება) ნაწარმოების გამოცნობა;
- ილუსტრაციის მიხედვით ტექსტის შინაარსის ამოცნობა;
- წაკითხული ტექსტის ამბის გაგრძელება;
- პერსონაჟის ალტერნატიული საქციელის მოფიქრება;
- პერსონაჟთა დამახასიათებელი ნიშან-თვისებების რუკის შევსება;
- ტექსტის მიხედვით ილუსტრაციების შექმნა;
- პრაგმატული ტექსტების (გაკვეთილის ცხრილის, დღის განრიგის, აფიშის, მოსაწვევი/მისალოცი ბარათის და ა. შ.) გაფორმება;
- ტექსტის/ტექსტის მონაკვეთის ხმამაღლა კითხვა;
- წინადადებების შედგენა ახლად ნასწავლი ლექსიკური ერთეულების გამოყენებით და სხვ.

მიმართულება: წერა	
სტანდარტის შედეგები	II კლასის შეფასების ინდიკატორები
<p>ქართ.დაწყ.(I).13. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის მარტივი ტექსტების შექმნა ნაცნობ თემატიკაზე სხვადასხვა მიზნით.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ადგენს პრაგმატულ ტექსტებს და სათანადოდ აფორმებს მათ მოდელის შინაარსობრივი და კომპოზიციური და სტრუქტურული მახასიათებლების გათვალისწინებით;; ➤ ადგენს პირადი გამოცდილების ამსახველ ტექსტს მითითებების/საყრდენების გათვალისწინებით);
<p>ქართ.დაწყ.(I).14. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკის, ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ელემენტების ადეკვატურად გამოყენება; კალიგრაფიისა და მართლწერის საბაზისო ნორმების დაცვა.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ წერს აკურატულად, იცავს ტექსტის გრაფიკულ სტრუქტურას; ➤ სათანადოდ ათანხმებს რიცხვში სახელებსა და მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებს; ➤ კონტექსტის მიხედვით მართებულად იყენებს ზმნის დროებს (წარსულს, აწმყოს, მომავალს); ➤ იყენებს მართებულ კავშირებს სიტყვათა და სიტყვათა ჯგუფების დასაკავშირებლად წინადადებაში; ➤ მართებულად იყენებს თხრობით, ბრძანებით და კითხვით წინადადებებს (სწორად იყენებს ზმნურ ფორმებს) და წინადადებების ბოლოს სვამს სათანადო სასვენ ნიშნებს (წერტილს, კითხვის ნიშანს, ძახილის ნიშანს); ➤ იყენებს ნაცნობ ლექსიკას; ➤ სათანადოდ იყენებს ეტიკეტური მეტყველების ფორმებს პრაგმატული ტექსტების (მაგ., მოსაწვევი ბარათის) შედგენისას. ➤ მართებულად იყენებს მრავლობითი რიცხვის ფორმებს პრაგმატული ტექსტების შედგენისას.
<p>ქართ.დაწყ.(I).15. მოსწავლემ უნდა შეძლოს წერის ნაცნობი სტრატეგიების მიზნის შესაბამისად გამოყენება.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ საჭიროებისამებრ, იყენებს საყრდენებს (მოდელს, მარტივ მითითებებს და სხვ.); ➤ შედგენილ ტექსტს ადარებს მოდელს და, საჭიროებისამებრ, შეაქვს შესწორებები; ➤ კითხულობს საკუთარ ნაწერს ხმამაღლა და ასწორებს შემჩნეულ შეცდომებს; ➤ ამოიწერს მასწავლებლის მიერ ჩასწორებულ ფორმებს ან მთლიან წინადადებას; ➤ ასწორებს სხვის (მაგ., თანაკლასელის) ნაწერს.
<p>დავალბათა / აქტივობათა ნიმუშები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ შეთავაზებული კონკრეტული სიტუაციის (კონკრეტულად, ვის იწვევენ, რასთან დაკავშირებით, სად, როდის და სხვ.) შესაბამისი მოსაწვევი ბარათის შედგენა სათანადო მორგანიზებული ელემენტების გამოყენებით (მიმართვა, ძირითადი ტექსტი, ხელმოწერა); ➤ შეთავაზებული კონკრეტული სიტუაციის შესაბამისი წერილის დაწერა მეგობრის მიმართ (მაგ., შთაბეჭდილების გაზიარება ახალ მულტფილმზე, წაკითხულ წიგნზე; ახალი ამბის/სამომავლო გეგმის გაზიარება, სხვ.) ორგანიზების სათანადო წესების დაცვით (მიმართვა, ძირითადი ტექსტი, ხელმოწერა); ხელნაწერი და/ან ელექტრონული სახით); ➤ შეთავაზებული კონკრეტული სიტუაციის შესაბამისი გამაფრთხილებელი აბრებისა და განცხადებების შედგენა (მაგ., „ფრთხილად, ეზოში ძაღლია“, „ნუ შეეხებით“, „დაიკარგა ძაღლი“ და ა. შ.); ➤ პირადი გამოცდილების ამსახველი მცირე ზომის მარტივი თხრობითი ტექსტის შედგენა საყრდენების დახმარებით ან მათ გარეშე (მაგ., „ჩემი დაბადების დღე“, „როგორ შევხვდი ახალ წელს“ და სხვ.); ➤ მცირე ზომის მარტივი თხრობითი ტექსტის შედგენა საყრდენების დახმარებით (მაგ., ამბის გადმოცემა შეთავაზებულ ხუთ მარტივ შეკითხვაზე: „ვინ?“, „სად?“, „რა?“, „როდის?“, „რატომ?“ პასუხის გაცემის გზით) ➤ კითხვებზე პასუხის გაცემა წერილობით და/ან ონლაინ-ინსტრუმენტის გამოყენებით; ➤ კარნახით წერა (ფრაზების, აზნაყების, მცირე ზომის ტექსტების); 	

➤ მცირე ზომის ტექსტის/ტექსტის მონაკვეთის (ფრაზების, აზრების) გადაწერა წიგნიდან, დაფიდან და სხვ.

პროგრამის შინაარსი

შედეგების მიღწევა შესაძლებელია მოცემული შინაარსის საფუძველზე:

1. ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება; ლექსიკოლოგიური ასპექტი.

ძირითადი თემატიკა:

ლექსიკოლოგიური ასპექტი: სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვებზე (საგნების, მოქმედების, თვისებებისა და სხვ. აღმნიშვნელი სიტყვები), სიტყვების მრავალმნიშვნელობაზე დაკვირვება; სიტყვის ადეკვატურად შერჩევა კონტექსტზე დაყრდნობით (აზრის უკეთ გამოხატვის მიზნით).

გრამატიკული ასპექტი: ხმოვანი და თანხმოვანი; სიტყვის ბგერითი ანალიზი და სინთეზი; სიტყვის ფორმობრივი ანალიზის საწყისი ჩვევების გამომუშავება; კავშირი და განსხვავება დონეებს შორის: **სიტყვა - წინადადება - ტექსტი**; მარტივი წინადადების აგება და ძირითადი სასვენი ნიშნების გამოყენება; წარმოთქმული წინადადების ინტონაციის გამოხატვა წერისას და დაწერილისა - პირიქით, წარმოთქმისას; სიტყვათა შინაარსობრივი კავშირი წინადადებაში; წინადადება - დასრულებული აზრი; მოცემული სიტყვებით წინადადების კონსტრუირება; თხრობითი, კითხვითი და ძახილის წინადადებები.

2. ენის კომუნიკაციური ასპექტები

ძირითადი თემატიკა: საუბრის თემა, ადრესანტი და ადრესატი; ეტიკეტური დიალოგები. მოსმენისა და კითხვის სტრატეგიები (თემა, სათაური და საკვანძო სიტყვები). შესწავლითი კითხვა (სასწავლო ტექსტის კითხვის სტრატეგიები: სათაურისა და აზრების მიხედვით კითხვების დასმა, საკვანძო სიტყვების გამოყოფა); ტექსტის კორექტირების მარტივი ხერხები (ჩამატება, ამოღება). ტექსტი, როგორც თემატური და აზრობრივი ერთიანობა. სათაურის ტიპები. ტექსტის სტრუქტურულ-აზრობრივი ნაწილები: დასაწყისი, ძირითადი ნაწილი, დასასრული. აღწერა და მსჯელობა. მიზნობრივი და ზეპირი კომუნიკაციის მარტივი ტექსტები (წერილი, დიალოგი, განცხადება, გამაფრთხილებელი წარწერები).

3. მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა

ძირითადი თემატიკა: ლექსები, მოთხრობები და ზღაპრები თანატოლებზე, სამშობლოზე, მეგობრობაზე, სიმართლეზე, ადამიანურ ურთიერთობებზე, ადამიანისა და ბუნების ურთიერთობაზე, სიკეთესა და ბოროტებაზე.

საკითხავი მასალა: ლიტერატურული და ხალხური ზღაპრები, იგავ-არაკები; მცირე ფოლკლორული ჟანრები: ენის გასატეხები, გამოცანები, ანდაზები, ლექსები, ქართული და უცხოური საბავშვო კლასიკა, მოთხრობები, კომიქსები, ქართული საბავშვო ლექსები.

ქვეპუნქტი 3. III კლასი

საფეხურებრივი სტანდარტის შედეგები და მათი შეფასების ინდიკატორები

მიმართულება: ზეპირმეტყველება	
სტანდარტის შედეგები	III კლასის შეფასების ინდიკატორები
<p>ქართ.დაწყ.(I).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი საკომუნიკაციო სიტუაციის ადეკვატური სამეტყველო ქცევის უნარის გამოვლენა.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მიზნისა და სამეტყველო სიტუაციის ადრესატის გათვალისწინებით ირჩევს შესაბამის არავერბალურ საშუალებებს (ჟესტს, მიმიკას, ინტონაციას); ➤ ადეკვატურად რეაგირებს ნაცნობ სამეტყველო სიტუაციაში; ➤ ადეკვატურად აღიქვამს ინფორმაციას; ➤ გადმოსცემს ინფორმაციას ნანახის, განცდილის შესახებ; ➤ ყვება ამბავს პირადი გამოცდილებიდან.
<p>ქართ.დაწყ.(I).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოსცემა.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ისმენს და ამოიცნობს პრაგმატული ტექსტების ადრესატს (მაგ., ვისთვისაა განკუთვნილი რეკლამა - დიდებისთვის თუ პატარებისთვის) და მიზანს (გაფრთხილება, რჩევის მიცემა, აკრძალვა, ინტერესის/სურვილის აღძვრა და სხვ.); ➤ ამოიცნობს ტექსტის თემას; ➤ ასახელებს ტექსტში ასახულ ფაქტებს, პერსონაჟებს; ➤ საკუთარი სიტყვებით, თანამიმდევრულობისა და აზრობრივი შესაბამისობის დაცვით გადმოსცემს ტექსტის შინაარსს ➤ ამოიცნობს ტექსტის შინაარსს სათაურის მიხედვით.
<p>ქართ.დაწყ.(I).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს პირადი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის თემის, მასში განხილული საკითხების მიმართ; მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟ(ებ)ის, მისი/მათი ქცევის შეფასება და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა.</p>	<p>მოსწავლე</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ აღწერს და ახასიათებს პერსონაჟებს თვალსაჩინო ნიშნების მიხედვით; ➤ ავლებს პარალელს მოსმენილ ტექსტში ასახულ ამბავსა და პირად/ლიტერატურულ გამოცდილებას შორის; ➤ მარტივი გამოთქმებით („მომწონს / არ მომწონს“, „საინტერესოა / უინტერესოა“, „ვეთანხმები/ არ ვეთანხმები“, „ერთგულია / მოღალატეა“, „მამაცია / მხდალია“ და ა. შ.) აფასებს ნაწარმოებს, პერსონაჟებს, მათს საქციელს და ცდილობს საკუთარი მოსაზრების ახსნას („არ ვეთანხმები იმიტომ, რომ...“, „საინტერესოა იმიტომ, რომ...“ და ა. შ.).
<p>ქართ.დაწყ.(I).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკისა და ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციების სათანადოდ გამოყენება; მართლმეტყველებისა და სამეტყველო ეტიკეტის საბაზისო ნორმების დაცვა.</p>	<p>მოსწავლე</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სასაუბრო თემებისათვის (მაგ., „წელიწადის დროები“, „ცხოველები“, „ქალაქი“, „სოფელი“ და ა. შ.) იყენებს სპეციალურ ლექსიკას; ➤ სიტყვათა შესაკავშირებლად გააზრებულად იყენებს კავშირებსა და სიტყვა-კავშირებს (ან, თუ, ვინც, რაც, როგორც, როცა / როდესაც...); ➤ სწორად იყენებს პირის, ჩვენებით, კითხვით და უარყოფით ნაცვალსახელებს; ➤ სათანადო კონტექსტში სწორად იყენებს სიტყვებს: ყველა, ზოგი (ზოგიერთი), არცერთი და სხვ.; ➤ მართებულად სვამს კითხვებს (ვინ...? რა...? როგორი...? რომელი...? რამდენი...?) და კითხვით წინადადებაში მახვილს სვამს კითხვით სიტყვებზე;

	<ul style="list-style-type: none"> ➤ სწორად უხამებს ზმნას სახელს პირსა და რიცხვში; ➤ მიზნისა და სამეტყველო სიტუაციის ადრესატის გათვალისწინებით ირჩევს შესაბამის სამეტყველო სტილს; ➤ განარჩევს და სწორად იყენებს ჩვეულებრივ და თავაზიანობის გამომხატველ ზმნურ ფორმებს („მოდით – მობრძანდით“; „აიღეთ – ინებეთ“, „დაჯექი – დაბრძანდით“ და სხვ.).
<p>ქართ.დაწყ.(I).5. მოსწავლემ უნდა შეძლოს ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების მიზნის შესაბამისად გამოყენება.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ იყენებს საყრდენებს/მინიშნებებს (მაგ., შეთავაზებული მარტივი გრაფიკული მაორგანიზებლების) ინფორმაციის დასახარისხებლად; ➤ იყენებს ნიმუშებს, საყრდენებს საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი სამეტყველო ქცევის წარსამართავად.
<p>დავალბათა / აქტივობათა ნიმუშები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ჯგუფური აქტივობები, სიტუაციური თამაშები (ადრესატის ცვლილებით); ➤ მოსმენილი წიგნის/მოთხრობის შესახებ თანაკლასელებისთვის შთაბეჭდილების გაზიარება; ➤ წაკითხული ან მოსმენილი ტექსტის შესახებ მინიდისკუსიის მოწყობა; ➤ სართიმო სიტყვების ამოცნობა ლექსებში; ➤ სხვადასხვა მოდალობის წინადადების შედგენა და გამოთქმა შესაბამისი ინტონაციით; ➤ მრავალფუნქციური ზეპირი საკომუნიკაციო სიტუაციის (მაგ., ინტერვიუ ცნობილ პოეტთან, მსახიობთან) მომზადება და იმიტირება; ➤ ტექსტის როლურად ინსცენირება შესაბამისი ინტონაციისა და მიმიკის გამოყენებით; ➤ მინიდილოგების გათამაშება ერთსა და იმავე თემაზე/საკითხზე განსხვავებული სამეტყველო სიტუაციების შეთავაზებით (მაგ., სხვადასხვა ადრესატთან - მასწავლებელთან, თანაკლასელთან, მშობელთან, ოჯახის წევრთან, ნაწარმოების პერსონაჟთან); ➤ მხატვრული ნაწარმოების ინსცენირება; ➤ მინიპრეზენტაციები (მაგ., პრეზენტაცია „ფოტოს მოყოლილი ამბავი“ - მოსწავლეები წარადგენენ საოჯახო ალბომიდან შერჩეულ ფოტოსურათს და ყვებიან მასთან დაკავშირებულ ამბავს); ➤ საუბარი/თხრობა საყვარელი წიგნის, ფილმის, მულტფილმის შესახებ (მასწავლებლის მიერ წინასწარ შეთავაზებულ მარტივ საორიენტაციო შეკითხვებზე დაყრდნობით ან ცოცხალი ინტერაქციის გზით (მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემით)); ➤ სასწავლო მასალასთან დაკავშირებული სახალისო ვიქტორინები. ➤ თამაში ლექსიკური ერთეულებით: ორ- ან მეტცნებიან კომპოზიტებში ფუძეთა გამოყოფა (მაგ., გონებაწართმეული, უსახლკარო, თავგზააზნეული, ხელფეხშეკრული); <p>და სხვ.</p>	

მიმართულება: კითხვა	
სტანდარტის შედეგი	III კლასის შეფასების ინდიკატორები
<p>ქართ.დაწყ.(I).6. მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფულად კითხვა.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ თავისუფლად კითხულობს ნაცნობ და უცნობ სიტყვებს, ცდილობს დაიცვას სათანადო ტემპი; ➤ ხმამაღლა, თავისუფლად კითხულობს მასწავლებლის მიერ მითითებულ ეპიზოდს, მცირე ზომის ტექსტებს; ➤ ხმამაღლა კითხვისას იცავს პაუზას სასვენ ნიშნებთან.
<p>ქართ.დაწყ.(I).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთდაკავშირება.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ამოიცნობს ტექსტის თემას, წვდება დედააზრს (მთავარ იდეას); ➤ ტექსტში ეძებს და პოულობს კონკრეტულ ინფორმაციას (როდის, სად, რამდენი, როგორი, რამდენ ხანს, რამდენჯერ და სხვ.); ➤ აკავშირებს ერთმანეთთან ექსპლიციტურად მოცემულ ფაქტებს, მოვლენებს, მოქმედებებს; ➤ ამოიცნობს ტექსტში მოცემულ სხვადასხვა ინფორმაციას შორის არსებულ მიზეზშედეგობრივ კავშირებს, გამოაქვს სათანადო დასკვნა; ➤ აჯგუფებს ინფორმაციას კონკრეტული (მაგ., მსგავსება-განსხვავების) ნიშნით; ➤ საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ტექსტის შინაარსს, ტექსტის ცალკეული მონაკვეთის არსებით ინფორმაციას; ➤ განსაზღვრავს მოქმედებათა დროსა და ადგილს; ➤ განსაზღვრავს, რა იცის / რა არ იცის ცალკეულმა პერსონაჟმა; ➤ ამოიცნობს პერსონაჟების მოქმედებებს, გრძობებს, ემოციებს; ➤ ამოიცნობს, რა ტიპის ურთიერთობა აქვთ პერსონაჟებს ერთმანეთთან (ნათესაური, მტრული, მეგობრული და სხვ.); ➤ გამოყოფს სიუჟეტის განვითარების საფეხურებს (დასაწყისს, ამბის შუა ნაწილს, დასასრულს); ➤ განსაზღვრავს რეპლიკის ავტორს, ადრესატსა და მიზანს (რჩევის მიცემა, ინფორმირება, ახსნა, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა და სხვ.); ➤ აკვირდება მხატვრული ტექსტების ენას, მწერლისეულ ლექსიკას; ➤ ეძებს და პოულობს, რომელ რუბრიკას / ქვესათაურს უკავშირდება ილუსტრაცია, მისი წარწერა.
<p>ქართ.დაწყ.(I).8. მოსწავლემ უნდა შეძლოს მცირე ზომის მხატვრული ტექსტების ინტეგრირება ვერბალური და არავერბალური გზით (მაგ., პანტომიმით, ჟესტებით, მიმიკით, როლური თამაშით); ვერბალური ინფორმაციის ვიზუალურად გარდაქმნა და/ან პირიქით.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ წაკითხული ნაწარმოებიდან მიღებული შთაბეჭდილებით ქმნის ილუსტრაციებს; ➤ აფასებს სხვების მიერ შექმნილ ილუსტრაციებს (რამდენად ასახავს ილუსტრაცია ტექსტის შინაარსს); ➤ ჯგუფის წევრებთან ერთად დგამს ნაწარმოებში ასახულ სცენებს.
<p>ქართ.დაწყ.(I).9. მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული საკითხების შეფასება.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ გამოხატავს წაკითხული ტექსტით აღძრულ ემოციებს, განცდებს; ➤ ტექსტში მოცემულ ინფორმაციას აკავშირებს პირად გამოცდილებასთან და გამოაქვს დასკვნა; ➤ ასახელებს საყვარელ პერსონაჟს და ხსნის საკუთარ არჩევანს; ➤ ასახელებს ნაწარმოების გმირების მოქმედების მოტივს (რატომ მოიქცა ასე) და აფასებს მათს საქციელს. ➤ ასახელებს მულტფილმებს, სურათებს, ნახატებს, მოსმენილ და

	წაკითხულ ნაწარმოებებს, რომლებიც გაახსენდა ტექსტის კითხვის დროს; მსჯელობს მათ შორის მსგავსება-განსხვავებაზე.
<p>ქართ.დაწყ.(I).10. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მათგანი, რომელიც ელემენტების, სტრუქტურული და კომპოზიციური მახასიათებლების ამოცნობა.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მთლიანობაში აკვირდება ტექსტის სტრუქტურას, მის სიტყვიერ და არასიტყვიერ მათგანი, რომელიც ელემენტებს (სათაურს, რუბრიკას, ილუსტრაციას, წარწერას, აბზაცს, სვეტს, ლოგოს, ტიპოგრაფიულ მახასიათებლებს, მაგ., მსხვილ შრიფტსა და სხვ.) ინფორმაციის ამოკრების მიზნით; ➤ ასახელებს ტექსტის კომპოზიციურ მახასიათებლებს (სათაურს, ილუსტრაციას, წარწერას, პირობით ნიშანს, რუბრიკას, აბზაცების რაოდენობას, სქემასა და სხვ.); ➤ ამოიცნობს, რომელ რუბრიკაში, ტექსტის რომელ ნაწილში უნდა ეძებოს ესა თუ ის ინფორმაცია (მაგ., რას ჭამს ზღარბი? . . . - რუბრიკაში „საკვები“);
<p>ქართ.დაწყ.(I).11. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეზე, ენობრივ ფორმებზე დაკვირვება.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ამოიცნობს სასვენი ნიშნების (წერტილის, მძიმის, ორწერტილის, ბრჭყალების, კითხვისა და ძახილის ნიშნების) ფუნქციას; ➤ ამოიცნობს პირდაპირ ნათქვამს; ➤ კითხვების (რა? ვინ? როგორ? რამდენი? რას აკეთებს?) გამოყენებით განასხვავებს შესაბამის მეტყველების ნაწილებს.
<p>ქართ.დაწყ.(I).12. მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების მიზნის შესაბამისად გამოყენება.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ცდილობს უცნობი სიტყვების ახსნას კონტექსტის გათვალისწინებით; ➤ ილუსტრაციებზე, სათაურზე დაყრდნობით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შინაარსის შესახებ; ➤ წაკითხული შინაარსის უკეთ გაგების მიზნით გონებაში, წარმოსახვაში აცოცხლებს მას; ➤ კონკრეტული ინფორმაციის მოძიებისას საყრდენებად იყენებს ტექსტის სიტყვიერ და არასიტყვიერ მათგანი, რომელიც ელემენტებს, სტრუქტურულ მახასიათებლებს; ➤ აღწერს, რა ხერხს მიმართა დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად; ➤ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ აზუსტებს, რამდენადაა პასუხის სისწორეში დარწმუნებული („დარწმუნებული ვარ“, „თითქმის დარწმუნებული ვარ“, „არა ვარ დარწმუნებული“); ➤ განსაზღვრავს და პოულობს ტექსტის იმ მონაკვეთს, რომელსაც უნდა მიუბრუნდეს პასუხის დასაზუსტებლად; ➤ მასწავლებლის დახმარებით ადგენს ტექსტის მარტივ გეგმას მისთვის სასურველი ფორმით (სიტყვიერად ან ნახატებით);
<p>დავალბათა / აქტივობათა ნიმუშები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ წინადადებაში გამოტოვებულ ადგილას მართებული სიტყვის შერჩევა და ჩასმა კონტექსტის მიხედვით; ➤ ტექსტში გადმოცემული მოქმედებათა დროისა და ადგილის გრაფიკულ სქემაში ამოწერა / ქრონოლოგიური სქემის შედგენა; ➤ როლებში კითხვა/მკითხველის თეატრი; ➤ საყვარელი ნაწარმოების/ეპიზოდის წაკითხვა თანაკლასელებისთვის; ➤ ხმამაღალი კითხვის ჩანაწერის მოსმენა და კორექტირება; ➤ ინფორმაციის კატეგორიზაცია თემატურად; ➤ აზრობრივი რუკების / სქემების შექმნა; ➤ პერსონაჟის დამახასიათებელი სიტყვების/ფრაზების/წინადადებების/ეპიზოდების მოძიება და ამოწერა; ➤ მოვლენათა შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების სქემის სახით გადმოცემა; ➤ მოკლედ გადმოცემული ამბის გავრცობა საყრდენების/მინიშნებების გამოყენებით; ➤ ტექსტის სიუჟეტის ან მხოლოდ დასასრულის შეცვლა; ➤ პერსონაჟის ალტერნატიული საქციელის მოფიქრება; ➤ საყვარელი ნაწარმოებების დასურათების კონკურსი - გამოფენა; 	

- საყვარელი ნაწარმოებების /ზღაპრისთვის წიგნის შექმნა;
- წაკითხული ნაწარმოების მიხედვით დიორამების შექმნა
- ტექსტის დაყოფა კომპოზიციური და სტრუქტურული მახასიათებლების მიხედვით;
- ნაცნობი და უცნობი ლექსიკის აქტივაცია - მათი გამოყენებით ახალი წინადადებების შექმნა;
- მსგავსი და განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვების დაჯგუფება;
- ვარაუდების სქემის გამოყენება;
- ტექსტთან დაკავშირებით მოსწავლეების მიერ ერთმანეთისთვის კითხვების დასმა;
- ტექსტის მონაკვეთებად დაყოფა და დასათაურება, გეგმის შედგენა და სხვ.

მიმართულება: წერა	
სტანდარტის შედეგები	III კლასის შეფასების ინდიკატორები
<p>ქართ.დაწყ.(I).13. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის მარტივი ტექსტების შექმნა ნაცნობ თემატიკაზე სხვადასხვა მიზნით.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ წერს ინსტრუქციებს, გასაგებად წარმოადგენს საჭირო ინფორმაციას; ➤ აღწერს კონკრეტულ საგანს/ნივთს (მცენარეს, ცხოველს, მოვლენას), წარმოაჩენს მათ დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს; ➤ გადმოსცემს კონკრეტულ ფაქტს/მოვლენას საკუთარი ცხოვრებიდან; ➤ ადგენს მარტივ დიალოგებს; ➤ თანამიმდევრულობის დაცვით გადმოსცემს ინფორმაციას; ➤ თანამიმდევრულობის დაცვით გადმოსცემს ნაცნობი ტექსტის/ტექსტის ეპიზოდის შინაარსს; ➤ თანამიმდევრულად აგებს თხრობას; ➤ ცდილობს ახლად შესწავლილი სიტყვების, ფრაზების გამოყენებას (მაგ., საინფორმაციო ტექსტების შედგენისას).
<p>ქართ.დაწყ.(I).14. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკის, ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ელემენტების ადეკვატურად გამოყენება; კალიგრაფიისა და მართლწერის საბაზისო ნორმების დაცვა.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ იყენებს ზმნას სათანადო პირისა და რიცხვის ფორმით; ➤ სწორად იყენებს კავშირებს (და, თუ, მაგრამ, ან) რთული და შერწყმული წინადადებების ნაწილების დასაკავშირებლად; ➤ სათანადოდ იყენებს პირის, ჩვენებით („ეს / ის კაცი მოვიდა - ეს / ის მოვიდა“...) და კითხვით (რომელი? როგორ?) ნაცვალსახელებს; ➤ სათანადოდ კონტექსტში სწორად ხმარობს სიტყვებს: ყველა, ზოგი (ზოგიერთი), არც ერთი; ➤ სწორად უხამებს ზმნას სახელს პირსა და რიცხვში, სწორად ათანხმებს რიცხვით და / ან ზედსართავ სახელსა და არსებით სახელს ბრუნვასა და რიცხვში; ➤ მსგავსი მნიშვნელობის ლექსიკური ერთეულებიდან შეარჩევს მოცემული კონტექსტისთვის შესაფერის / მართებულ სიტყვას; ➤ იყენებს დიალოგის გაფორმებისთვის საჭირო ენობრივ-გრამატიკულ საშუალებებს (ზმნის II პირის ფორმებს, პუნქტუაციის ნიშნებს); ➤ სწორად დამარცვლავს სიტყვებს და გადააქვს სტრიქონიდან სტრიქონზე; ➤ სათანადოდ იყენებს სასვენ ნიშნებს (წერტილს, მძიმეს, ორწერტილს, ბრჭყალებს, კითხვისა და ძახილის ნიშნებს). ➤ სათანადოდ აფორმებს მარტივ დიალოგებს; ➤ საჭიროებისამებრ, ყოფს ნამუშევარს აზრად ან თანამიმდევრულობის დაცვით.
<p>ქართ.დაწყ.(I).15. მოსწავლემ უნდა შეძლოს წერის ნაცნობი სტრატეგიების მიზნის შესავამისად გამოყენება.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ საჭიროებისამებრ, იყენებს საყრდენებს (მოდელს, მითითებებს, მარტივ გრაფიკულ სქემებს, გეგმას და სხვ.); ➤ ითვალისწინებს მიზანსა და აუდიტორიას მარტივი პრაგმატული ტექსტის (მაგ., მოსაწვევი ბარათის) შედგენისას; ➤ გადაიკითხავს და ჩაასწორებს საკუთარ ნაწერს, ჩაამატებს, ამოშლის ან გადასვამს ტექსტში სასურველ სიტყვას ან

წინადადებას;

- კარნახით ნაწერ ტექსტს უდარებს დედანს (ჩასწორების მიზნით);
- ამოწმებს და ჩაასწორებს საკუთარ და/ან სხვის ნაწერში მისთვის ნაცნობ სასვენ ნიშნებს.

დავალებათა / აქტივობათა ნიმუშები:

- მარტივი ინსტრუქციების შედგენა ნაცნობ თემატიკაზე (მაგ., როგორ უნდა მოვიქცეთ ქუჩის გადასასვლელებზე, როგორ მოვუაროთ შინაურ ცხოველებს, როგორ გავუფრთხილდეთ სასკოლო ნივთებს);
- წერილის დაწერა ნაწარმოების პერსონაჟის/კომიქსის, მულტფილმის გმირის მიმართ;
- მცირე ზომის მარტივი ინფორმაციული ტექსტის შედგენა სხვადასხვა საგანში შეძენილი ცოდნის საფუძველზე (მაგ., "შემოდგომა", "შინაური ცხოველები", "ჩვენი დედაქალაქი");
- მცირე ზომის აღწერითი ტექსტის შედგენა (მაგ., სურათის/ილუსტრაციის აღწერა);
- კონკრეტული ცხოვრებისული გამოცდილების ამსახველი მცირე ზომის ტექსტის შედგენა;
- თვითშეფასების სქემის შევსება წერილობითი ნამუშევრის შესაფასებლად;
- პერსონაჟის დახასიათება მარტივი გრაფიკული სქემების შევსების გზით;
- წერითი ნამუშევრის შეფასების კრიტერიუმების შედგენა და სხვ.

პროგრამის შინაარსი

შედეგების მიღწევა შესაძლებელია მოცემული შინაარსის საფუძველზე:

1. ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება

ძირითადი თემატიკა:

ლექსიკოლოგიური ასპექტი: აქტიური ლექსიკური ფონდი; სიტყვათა დაჯგუფება-განსხვავება შინაარსობრივი და ექსპრესიული თვალსაზრისით; ხატოვანი გამონათქვამები და მარტივი ფრაზეოლოგიზმები.

გრამატიკული ასპექტი: წინადადების ძირითადი წევრები: ზმნა-შემასმენელი და მასთან დაკავშირებული მოქმედი პირი (სუბიექტი); ზმნა და საგარემოებო სიტყვები; კავშირები წინადადებაში. სახელის სხვადასხვა ბრუნვის ფორმებს შორის ფუნქციური სხვაობა; ზმნური და სახელური ფორმაცვალება; ტიპობრივი ორთოგრაფიული შეცდომების გასწორების წესები; ძირითადი სასვენი ნიშნები (წერტილი, მძიმე, კითხვისა და ძახლის ნიშნები, ბრჭყალები, ორწერტილი, ტირე).

2. ენის კომუნიკაციური ასპექტები

ძირითადი თემატიკა: საკომუნიკაციო ამოცანა და მიზანი; მიზნობრივი ტექსტის დანიშნულება და ადრესატი; საუბრისა და კამათის თემა; ჯგუფური აქტივობა, სიტუაციური თამაში და კონკრეტული როლი; საბავშვო ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები; კითხვის სტრატეგიები (თემა, მთავარი და მეორეხარისხოვანი გმირები, სათაურისა და ტექსტის აზრობრივი მიმართება). ტექსტის ტიპები: მიზნობრივი ტექსტები (რეცეპტი, სამახსოვრო წესები, აბრა, რეკლამა, განცხადება); ტექსტის ჩასწორების მარტივი ხერხები.

3. მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა

ძირითადი თემატიკა: თანატოლების ცხოვრება, სათავგადასავლო, იუმორისტული ნაწარმოებები, დიდაქტიკური ხასიათის თხზულებები.

საკითხავი მასალა: ქართული და მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები, თქმულებები, ლეგენდები, მითები; ადაპტირებული ლიტერატურული ტექსტები, ლირიკული და სიუჟეტური ლექსები, პროზაული თხზულებები (მცირე ზომის) დასრულებული ამბით, საინტერესო სიუჟეტით, მკაფიოდ და ნათლად გამოხატული სათქმელით.

ქვეპუნქტი 4. IV კლასი

საფეხურებრივი სტანდარტის შედეგები და მათი შეფასების ინდიკატორები

მიმართულება: ზეპირმეტყველება	
სტანდარტის შედეგები	IV კლასის შეფასების ინდიკატორები
<p>ქართ.დაწყ.(I).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი საკომუნიკაციო სიტუაციის ადეკვატური სამეტყველო ქცევის უნარის გამოვლენა.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ კორექტულად, ეტიკეტის დაცვით გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას დისკუსიის, აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს; ➤ ყურადღებით ისმენს სხვათა მოსაზრებებს, არ აწყვეტინებს მოსაუბრეს ლაპარაკს.
<p>ქართ.დაწყ.(I).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ამოიცნობს და განარჩევს სასაუბრო ტექსტების სახეებს (აღწერას, თხრობას, დიალოგს...); ➤ ამოიცნობს ტექსტში მოცემულ კონკრეტულ ინფორმაციას; ➤ ახარისხებს ტექსტში მოცემულ ინფორმაციას კონკრეტული ნიშან-თვისებების მიხედვით; ➤ ამოიცნობს ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთში ექსპლიციტურად მოცემულ სხვადასხვა ინფორმაციას, მათ შორის არსებულ ლოგიკურ (მიზეზშედეგობრივ, ოპოზიციურ, სხვ.) კავშირებს; ➤ მსჯელობს მხატვრულ ნაწარმოებში ასახულ ამბავსა და პერსონაჟებზე; ➤ თანამიმდევრულობის დაცვით გადმოსცემს ტექსტების შინაარსს (ვრცლად და/ან მოკლედ); ➤ მიჰყვება მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტურ ხაზს და თანამიმდევრულად გადმოსცემს ფაქტებსა და მოვლენებს; ➤ გადმოსცემს არამხატვრული ტექსტების შინაარსს ლოგიკური ხაზის დაცვით; ➤ შინაარსის გადმოცემისას ერთმანეთს ანაცვლებს თხრობასა და აღწერას.
<p>ქართ.დაწყ.(I).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს: პირადი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის თემის, მასში განხილული საკითხების მიმართ; მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟ(ებ)ის, მისი/მათი ქცევის შეფასება და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა.</p>	<p>მოსწავლე</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ნაწარმოებში ასახულ ამბავსა და პერსონაჟებზე აზრის გამოთქმისას/მსჯელობისას ცდილობს მისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი ასპექტის გამოკვეთას; ➤ ასახელებს მოსმენილი ტექსტიდან ესთეტიკურად ღირებულ ადგილებს; ➤ აფასებს გმირის საქციელს და განმარტავს თავის დამოკიდებულებას; ➤ უკავშირებს პერსონაჟის მოქმედებას პირად ცხოვრებისეულ გამოცდილებას და იხსენებს მსგავს სიტუაციებს; ➤ მონაწილეობს მხატვრული ნაწარმოების შესახებ გამართულ დისკუსიაში; ➤ მონაწილეობს საბავშვო სპექტაკლის ან ზღაპრის განხილვაში; ➤ გამოხატავს საკუთარ ემოციებს/განცდებს და ცდილობს მათ ახსნას („გამიკვირდა იმიტომ, რომ...“, „აღვშოთდი იმიტომ, რომ...“).
<p>ქართ.დაწყ.(I).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკისა და ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციების</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ განასხვავებს არაფორმალური გარემოს (მაგ., შინაური გარემოს) სასაუბრო სტილსა და ოფიციალური გარემოს (მაგ., სასკოლო

<p>სათანადოდ გამოყენება; მართლმეტყველებისა და სამეტყველო ეტიკეტის საბაზისო ნორმების დაცვა.</p>	<p>საქმიანი სიტუაციის) ენას, ადეკვატურად იყენებს მათ საკომუნიკაციო მიზნისა და სიტუაციის შესაბამისად;</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ განასხვავებს პირდაპირ და ირიბ ნათქვამს და დანიშნულებისამებრ იყენებს მათ (მაგ. ტექსტის შინაარსის გადმოცემისას); ➤ ყოფითი სიტუაციების აღწერისას სათანადოდ რთავს მეტყველებაში სპეციფიკურ ლექსიკას; ➤ თხრობისას იყენებს ავტორისეულ ლექსიკას; ➤ მასწავლებლის მიერ მითითებული ნიმუშების მიხედვით შემოქმედებითად იყენებს სიტყვათა სემანტიკურ კავშირებს (სინონიმებს, ანტონიმებს...); ➤ სათანადო კონტექსტებში სწორად ჩაანაცვლებს სახელებს (არსებითს, ზედსართავს, რიცხვითს) ნაცვალსახელებით (ეს, ის, ასეთი, ამდენი...) და მარტივი ზმნიხედებით (აქ, იქ, მაშინ, ამიტომ...); ➤ კონტექსტის მიხედვით სწორად იყენებს ზმნის გრამატიკული დროის ფორმებს (მაგ., შარშან დავისვენეთ - გაისად დავისვენებთ და ა. შ.); ➤ მეტყველებისას იცავს ბრუნვისა და პირის ნიშნებთან დაკავშირებულ მართლმეტყველების წესებს (მაგ. ვვარჯიშობ, ვუთხარი, თბილისს, ქათამმა, კარგად ვარ და ა. შ.); ➤ სწორად უთანხმებს ზმნას არსებით სახელებსა და ნაცვალსახელებს პირისა და რიცხვის მიხედვით; ➤ სწორად ათანხმებს მსაზღვრელ-საზღვრულს; ➤ მეტყველებს მკაფიოდ და გარკვევით; ➤ იყენებს ინტონაციას სასვენი ნიშნების ფუნქციით.
<p>ქართ.დაწყ.(I).5. მოსწავლემ უნდა შეძლოს ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების მიზნის შესაბამისად გამოყენება.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ საკომუნიკაციო მიზნის შესაბამისად იყენებს ნიმუშებს, საყრდენებს; ➤ ადგენს მარტივი სახის მოკლე ჩანაწერებს დისკუსიების დროს (ჩაინიშნავს მნიშვნელოვან სიტყვას/სიტყვებს სხვათა და/ან საკუთარ მოსაზრებას, კონკრეტულ საკითხს და სხვ.).
<p>დავალბათა / აქტივობათა ნიმუშები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ილუსტრაციების მიხედვით პერსონაჟთა განმარტება შესაბამისი ტემპრით, ინტონაციით, ჟესტებისა და მიმიკის გამოყენებით; ➤ როლური თამაშის ორგანიზება, იმპროვიზაციის გათამაშება; ➤ მინიდიკუსია მხატვრული ნაწარმოების შესახებ; ➤ ინტერაქცია (კითხვა-პასუხი) ნაცნობი ნაწარმოების შესახებ; ➤ საბავშვო სპექტაკლის, ფილმის, მულტფილმის განხილვა; ➤ ინტერვიუს გათამაშება ავტორთან/პერსონაჟთან (შეკითხვების დასმა ნაწარმოების „ავტორის“ და/ან „პერსონაჟის“ მიმართ, რომლის როლსაც ერთ-ერთი მოსწავლე „მოირგებს“, დანარჩენი მოსწავლეები მას უსვამენ შეკითხვებს ტექსტის შესახებ) ➤ ”სიტყვობანა” - სახალისო თამაში ლექსიკური ერთეულებით (მაგ., შეთავაზებული სიტყვის სინონიმების და/ან ანტონიმების რიგრიგობით დასახელება); ➤ ლექსიკური რუკის შევსება; ➤ ნაცნობი მხატვრული ტექსტის შინაარსის გადმოცემა მთხრობელის ჩანაცვლების გზით (მაგ., როგორ მოყვებოდა ნაცარქექისთან შეხვედრის ამბავს დევი); ➤ შინაარსის გადმოცემა: დეტალური თხრობა, მოკლე შინაარსის თხრობა, გამოკრებილი თხრობა (ტექსტის ცალკეული ეპიზოდის შინაარსის გადმოცემა); ➤ კონკურსი გამომსახველობით კითხვაში და სხვ. 	

მიმართულება: კითხვა	
სტანდარტის შედეგი	IV კლასის შეფასების ინდიკატორები
<p>ქართ.დაწყ.(I).6. მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფულად კითხვა.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ გაბმულად (შეფერხებების გარეშე), სათანადო ტემპითა და შესაბამისი ინტონაციით ხმამაღლა კითხულობს ნაცნობ და უცნობ ტექსტებს/ტექსტების მონაკვეთებს; ➤ ხმამაღლა კითხულობს კლასის წინა შესასურველ / შერჩეულ ნაწყვეტს ნაცნობი ტექსტიდან და ინტონაციით გამოხატავს ტექსტში ასახულ ემოციებს.
<p>ქართ.დაწყ.(I).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთდაკავშირება.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ამოიცნობს ნაწარმოების თემას, დედააზრს (მთავარ იდეას). ➤ საკუთარი სიტყვებით გადმოცემს ტექსტისმოკლე შინაარსს, ➤ გამოყოფს ტექსტის მთავარ საკითხებს, ტექსტის ცალკეული მონაკვეთის არსებით ინფორმაციას; ➤ მოიძიებს კონკრეტულ ინფორმაციას (მაგ., მოვლენათა, მოქმედებათა დროსა და ადგილს); ➤ აკავშირებს ერთმანეთთან ექსპლიციტურად მოცემულ ფაქტებს, მოვლენებს, მოქმედებებს და გამოაქვს სათანადო დასკვნები; ➤ ამოიცნობს ტექსტში გადმოცემულ მოვლენებს, ფაქტებს, მოქმედებებს შორის არსებულ ქრონოლოგიურ და ლოგიკურ (მიზეზშედეგობრივ, ოპოზიციურ, პირობით, დათმობით და სხვა) კავშირებს; ➤ აჯგუფებს ინფორმაციას კონკრეტული ნიშნით (მსგავსება-განსხვავების, მზარდი-კლებადი ხარისხისა და ა.შ. მიხედვით); ➤ ასახელებს მხატვრული ნაწარმოების მოქმედ პირებს, განსაზღვრავს ცალკეული პერსონაჟის ხედვის კუთხეს, ➤ განარჩევს ერთმანეთისგან ფაქტსა და სურვილს/ოცნებას; ➤ გამოყოფს მხატვრულ ტექსტში სიუჟეტის განვითარების ეტაპებს (დასაწყისს, ამბის შუა ნაწილს, დასასრულს); ➤ აანალიზებს ცალკეულ რეპლიკას - ვის ეკუთვნის, ვინ არის ადრესატი, რა არის რეპლიკის მიზანი (მაგ., რჩევის მიცემა, ინფორმირება, ახსნა, საყვედურის გამოთქმა, შენიშვნის მიცემა, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა და სხვა); ➤ განარჩევს ტექსტში ავტორისა და პერსონაჟების სიტყვებს, დიალოგსა და მონოლოგს; ➤ ამოიცნობს პერსონაჟთა გრძნობებს, მიზნებს; ➤ აკვირდება პერსონაჟთა ქცევას, მოქმედებას, თვისებებს და დაკვირვების საფუძველზე გამოაქვს სათანადო დასკვნა მათი აზრების, განზრახვების, განცდების შესახებ; ➤ საუბრობს სათაურისა და ტექსტის აზრობრივ/ შინაარსობრივ ურთიერთკავშირზე; ➤ ამოიცნობს საბავშვო, შემეცნებით (შემეცნებით-გასართობ), მუსიკალურ, სპორტულ და საინფორმაციო გადაცემებს სპეციფიკური ნიშნების (მუსიკალური ქუდის, ლოგოს, დასაწყისისა და ა.შ.) მიხედვით.
<p>ქართ.დაწყ.I.8. მოსწავლემ უნდა შეძლოს მცირე ზომის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტირება ვერბალური და არავერბალური გზით (მაგ., პანტომიმით, ჟესტებით, მიმიკით, როლური თამაშით);</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ განავრცობს შეკუმშულად, მოკლედ გადმოცემულ ამბავს; ➤ ასახელებს სათაურის ალტერნატიულ ვარიანტებს; ➤ გადმოსცემს ნაწარმოებში ასახულ ამბავს ერთ-ერთი პერსონაჟის პირით; ➤ თავისი შეხედულებისამებრ ინტერპრეტაციას უკეთებს მხატვრულ

<p>ვერბალური ინფორმაციის ვიზუალურად გარდაქმნა და/ან პირიქით.</p>	<p>ტექსტს (სათაურის, დასასრულის შეცვლა, გაგრძელება, სიუჟეტის ელემენტების ცვლილება და ა.შ.);</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ საბავშვო სპექტაკლისათვის ამზადებს და წარმოადგენს მასწავლებლის მითითებით ან საკუთარი სურვილით შერჩეულ როლს; ➤ საბავშვო სპექტაკლისათვის შეარჩევს (თვითონ ხატავს ან მოიძიებს) როლის შესაბამის ვიზუალურ მასალას (კოსტუმს, ნიღაბს, სხვ.); ➤ როლის (მოლაპარაკე ცხოველების, უსულო საგნების) განსასახიერებლად ადეკვატურად იყენებს დამხმარე საშუალებებს (ჟესტს, მიმიკას, დამახასიათებელ მოძრაობას, გარკვეულ არტიკულაციას; მოხერხებულობის, ტყუილის თუ სხვა თვისებებისა და გრძნობების გამომხატველ მინიშნებებს); ➤ წარმოადგენს მიმიკურ მიზანსცენებს წაკითხული ტექსტის ცალკეული ეპიზოდის / ეპიზოდების საფუძველზე (თანაკლასელთა ჯგუფთან ერთად); ➤ ილუსტრაციებზე, სათაურზე დაყრდნობით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შინაარსის შესახებ.
<p>ქართ.დაწყ.(I).9. მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული საკითხების შეფასება.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ავლენს მხატვრული ტექსტების ესთეტიკური და ეთიკური შეფასების სურვილს; ➤ აკავშირებს ტექსტში მოცემულ ინფორმაციას საკუთარ გამოცდილებასთან, გამოკვეთს მათ შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებას, გამოაქვს სათანადო დასკვნას; ➤ საკუთარი შეხედულების/შეფასების დასასაბუთებლად იყენებს შესაბამის ადგილებს წაკითხული ტექსტიდან ან მაგალითებს პირადი გამოცდილებიდან. ➤ ასახელებს საყვარელ წიგნს, ტექსტს / მხატვრულ ნაწარმოებს, ავტორს, პერსონაჟს და ხსნის თავის არჩევანს; ➤ მიუთითებს, რით დაინტერესდა / რა მოეწონა ტექსტში (ინფორმაცია, ამბავი, პერსონაჟის საქციელი, ბუნების აღწერა, დიალოგები თუ სხვა); ➤ მონაწილეობს წაკითხულის შესახებ გამართულ დისკუსიებში; საკუთარი შეხედულების დასასაბუთებლად იყენებს შესაბამის ადგილებს წაკითხული ტექსტიდან ან მაგალითებს პირადი გამოცდილებიდან.
<p>ქართ.დაწყ.(I).10. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მათგან ნებისმიერი ელემენტების, სტრუქტურული და კომპოზიციური მახასიათებლების ამოცნობა.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ახასიათებს სხვადასხვა სახის ტექსტს სტრუქტურული მახასიათებლების მიხედვით (მაგ., ღია ბარათს დასაწყისში აქვს მიმართვის ფორმა, მას მოსდევს ძირითადი ტექსტი, ბოლოს კი არის ხელმოწერა; კულინარიული რეცეპტი შედგება სათაურისა და ორი ძირითადი ნაწილისაგან: ინგრედიენტთა ჩამონათვალი და დამზადების წესი; დარგობრივ-შემეცნებით ტექსტს აქვს სათაური, ახლავს ილუსტრაციები წარწერებით და აბზაცებად დაყოფილი ტექსტი და ა.შ.); ➤ ადეკვატურად იყენებს საბავშვო წიგნში გამოყენებულ პირობით ნიშნებს (ლოგოს, რუბრიკას, სქემას), ილუსტრაციებს, დამხმარე ცხრილებსა და მარტივ დიაგრამებს.
<p>ქართ.დაწყ.(I).11. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეზე, ენობრივ ფორმებზე დაკვირვება.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მხატვრულ ტექსტებში აკვირდება მწერლის ენას, ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეს (სინონიმებს, ანტონიმებს, ფრაზეოლოგიზმებს და ა.შ.), ზოგიერთ მხატვრულ ხერხს (ეპითეტს, შედარებას); ➤ დამოუკიდებლად პოულობს ტექსტში სიტყვებსა და გამოთქმებს, რომლებსაც ავტორი იყენებს პერსონაჟების, ფაქტებისა და მოვლენების აღსაწერად;

	<ul style="list-style-type: none"> ➤ ამოიცნობს და ასახელებს მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებს, რომელთა საშუალებით აზნავეს / ტექსტის ცალკეულ ეპიზოდში / ტექსტში გადმოცემულია მოვლენათა თანამიმდევრობა (მაგ. ჯერ დახატა, მერე გაუზზავნა მეგობარს; ჯერ წავიდა, შემდეგ იყიდა, ბოლოს კი შეჭამა...); ➤ ამოიცნობს და ასახელებს საგნისა (მაგ., წითელი ფანქარი; კარგი ამინდი, მაღალისახლი) და მოქმედების (ლამაზად წერს) დამახასიათებელ ნიშნებს; ➤ ამოიცნობს მარტივი აღწერითი ტექსტის ძირითად ენობრივ მახასიათებლებს, მაგ., შედგენილი შემასმენლის აქტიურად გამოყენებას (ეს კალამია, ის რვეულია, ეს კი ჩემი ჩანთაა), აღსაწერი საგნის / ობიექტის აღმნიშვნელი სიტყვის ჩანაცვლებას ნაცვალსახელით ან ზმნიზედით (თბილისი საქართველოს დედაქალაქია; ის დააარსა ვახტანგ გორგასალმა. შარშან თბილისში ვიყავი. იქ ბევრი ლამაზი სახლი ვნახე) და ა.შ.; ➤ ამოიცნობს და ასახელებს ძირითად სინტაქსურ მიმართებებს, მაგ., შეთანხმებას სახელებს შორის ბრუნვაში (მაგ., ორმა მეგობარმა, ლამაზი სახლი); ➤ ამოიცნობს და ასახელებს ქონა-ყოლის აღმნიშვნელ ზმნებს, ამჩნევს მათი წარმოების თავისებურებებს (დედა მყავს, რვეული მაქვს).
--	---

<p>ქართ.დაწყ.(I).12. მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების მიზნის შესაბამისად გამოყენება.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ამოიცნობს უცნობი სიტყვების / გამოთქმების მნიშვნელობას ნაცნობი ელემენტების (ილუსტრაციების, ნაცნობი ფუძის, კონტექსტისა და სხვ.) დახმარებით; ➤ ტექსტის უკეთ გააზრების მიზნით სვამს კითხვებს წაკითხულთან დაკავშირებით; ➤ ილუსტრაციებზე, სათაურზე დაყრდნობით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შინაარსის შესახებ; ➤ აკვირდება ტექსტში მოცემულ ინფორმაციას, უკავშირებს მას წინარე ცოდნას და ამის საფუძველზე გამოაქვს დასკვნა; ➤ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ აზუსტებს, რამდენად დარწმუნებულია პასუხის სისწორეში („დარწმუნებული ვარ“, „თითქმის დარწმუნებული ვარ“, „არა ვარ დარწმუნებული“); ➤ უბრუნდება ტექსტის შესაბამის/სათანადო მონაკვეთს იმ საკითხების დასაზუსტებლად, რაშიც არ არის დარწმუნებული; ➤ აცნობიერებს სხვადასხვა ხერხს, რომლებიც ტექსტის გაგებას უწყობს ხელს (ტექსტში გადმოცემული ამბების წარმოსახვაში გაცოცხლება, ტექსტში გადმოცემული ამბის ინსცენირება, ტექსტის ცალკეული მონაკვეთის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა და სხვ.); ➤ ადეკვატურად იყენებს საბავშვო წიგნში გამოყენებულ პირობით ნიშნებს (ლოგოს, რუბრიკას, სქემას), ილუსტრაციებს, დამხმარე ცხრილებსა და მარტივ დიაგრამებს.
---	---

<p>დავალებათა / აქტივობათა ნიმუშები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ელექტრონული პროგრამის გამოყენებით მარტივი ცნების რუკის შედგენა/შეცვლა; ➤ ინფორმაციის კონკრეტული ნიშნის (მსგავსება-განსხვავების, მზარდი-კლებადი ხარისხისა და ა.შ.) მიხედვით დაჯგუფება; ➤ ტექსტში არსებითი ინფორმაციის გამოკვეთა; ➤ ავტორის მიზნის ამოცნობა; ➤ პრაგმატული ტექსტის დანიშნულების განსაზღვრა; ➤ საკლასო ბიბლიოთეკის შექმნა და წიგნების მიმოხილვა; ➤ პერსონაჟთა დამახასიათებელი ადგილების (სიტყვები, ფრაზები, ეპიზოდები) მოძიება და გრაფიკულ სქემებში ორგანიზება; ➤ პერსონაჟთა ურთიერთდამოკიდებულებების შესახებ აზრობრივი რუკების შექმნა-გამოყენება;

- სათაურის ალტერნატიული ვარიანტების დასახელება;
- წიგნის/ნაწარმოების პრეზენტაციები (წაკითხული ნაწარმოების შესახებ შთაბეჭდილების გაზიარება თანაკლასელებისათვის, თუ რატომ უნდა წაკითხონ ესა თუ ის ნაწარმოები);
- მინიდისკუსია წაკითხული ნაწარმოების შესახებ;
- მხატვრული ნაწარმოების დასასრულის შეცვლა;
- ტექსტის დაყოფა კომპოზიციური და სტრუქტურული მახასიათებლების მიხედვით;
- აზრაცვებში საყრდენი სიტყვის ან წინადადების მოძიება და აზრაცვების დასათაურება;
- ნაცნობი და უცნობი ლექსიკის აქტივაცია - მათი გამოყენებით ახალი წინადადებების შექმნა;
- სიტყვების დაჯგუფება კითხვების საშუალებით;
- სინონიმებისა და ანტონიმების დაჯგუფება;
- სიტყვებისაგან / ფრაზებისგან წინადადებების აგება;
- საყვარელი ნაწარმოებებისგან (საკუთარი ან ნასწავლი/წაკითხული ლექსები, გამონათქვამები, ციტატები, ანდაზები, გამოცანები, და ა.შ.) პატარა ჟურნალის ან წიგნის შექმნა
- ტექსტის მარკირება მასწავლებლის მიერ მითითებული ინსტრუქციის მიხედვით;
- ტექსტის შინაარსის გეგმის შედგენა;
- სამიუბო ელექტრონული სისტემების გამოყენება და სხვ.

მიმართულება: წერა

სტანდარტის შედეგები	IV კლასის შეფასების ინდიკატორები
<p>ქართ.დაწყ.(I).13. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის მარტივი ტექსტების შექმნა ნაცნობ თემატიკაზე.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ადგენს მარტივ პრაგმატულ ტექსტებს (წერილს, შეკითხვებს ინტერვიუსთვის); ➤ ადგენს მარტივ დარგობრივ/ინფორმაციულ ტექსტებს, მიზნის შესაბამისად წარმოადგენს სათანადო ინფორმაციას; ➤ ადგენს მცირე ზომის ტექსტებს ცხოვრებისეული და/ან ლიტერატურული გამოცდილების საფუძველზე, თანამიმდევრულად გადმოსცემს ფაქტებსა და მოვლენებს; ➤ ადგენს აღწერით ტექსტებს, ცდილობს მნიშვნელოვანი დეტალების წარმოჩენას; ➤ გამოხატავს საკუთარ მოსაზრებას/დამოკიდებულებას, ცდილობს მის ახსნას.
<p>ქართ.დაწყ.(I).14. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ელემენტების ადეკვატურად გამოყენება; კალიგრაფიისა და მართლწერის საბაზისო ნორმების დაცვა.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ იყენებს შესაფერის სპეციალურ ლექსიკას (დარგობრივ ტექსტებში); ➤ მხატვრული ტექსტის შინაარსის გადმოცემისას ცდილობს ავტორისეული ლექსიკის გამოყენებას; ➤ აკვირდება სიტყვათა ლექსიკურ მნიშვნელობას და კონტექსტის გათვალისწინებით შეურჩევს მათ ადგილს; ➤ ავლენს სახელის ფორმაცვალების წესების ცოდნას (მაგ., სწორად არჩევს სახელის ბრუნვის ფორმებს ზმნის სინტაქსური კონსტრუქციების მიხედვით) და სათანადოდ იყენებს მას; ➤ მართებულად ხმარობს სიტყვებს: თითოეული, ყველა, ზოგი (ზოგიერთი), რამდენიმე და სწორად უთანხმებს რიცხვში ზმნებს; ➤ სათანადოდ იყენებს ნაცნობი გრამატიკული ფორმების მართლწერის წესებს წინადადების/ფრაზის აგებისას; ➤ მართებულად იყენებს სასვენ ნიშნებს (წერტილს, კითხვისა და ძახილის ნიშნებს, ბრჭყალებს, ორწერტილს, ტირეს, მრავალწერტილს); ➤ საჭიროებისამებრ, ყოფს ნამუშევარს აზრად შეფასებად შინაარსობრივი თანამიმდევრულობისა და ლოგიკურ შესაბამისობის დაცვით.
<p>ქართ.დაწყ.(I).15. მოსწავლემ უნდა შეძლოს წერის ნაცნობი სტრატეგიების მიზნის შესავამისად გამოყენება.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ წერის დაწყებამდე განსაზღვრავს ტექსტის დანიშნულებას და ადრესატს პრაგმატული ტექსტებისთვის; ➤ იყენებს მოდელს, საყრდენებს, მითითებებს; საჭიროებისამებრ, იყენებს მარტივ გრაფიკულ მარკანიზებლებს; ➤ მოდელზე დაყრდნობით (მითითებების მიხედვით) სათანადოდ აფორმებს მარტივ პრაგმატულ ტექსტებს; ➤ მარტივი საძიებო სისტემის მეშვეობით წინასწარ მოიძიებს საჭირო ინფორმაციას (ბეჭდური/ელექტრონულ რესურსების გამოყენებით); ➤ შეადგენს ტექსტის,წერითი დავალების მოკლე გეგმას; ➤ უბრუნდება ნაწერს კორექტირებისთვის, ამჩნევს და ასწორებს სხვადასხვა სახის შეცდომებს (ჩაამატებს, ამოშლის ან გადასვამს ტექსტში ასოს, სიტყვას, ფრაზას/წინადადებას); ➤ ხმამაღლა კითხულობს საკუთარ ნაწერს, ცვლის ტექსტის ამა თუ იმ მონაკვეთს ესთეტიკური თვალსაზრისით უკეთესი ვარიანტით.
<p>დავალებათა / აქტივობათა ნიმუშები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ნაცნობი ტექსტის/ეპიზოდის შინაარსის გადმოცემა; ➤ მცირე ზომის მარტივი დარგობრივი ტექსტის შედგენა სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნის საფუძველზე 	

(მაგ., კლიმატური პირობების, გეოგრაფიული გარემოს აღწერა, მათემატიკური ამოცანის პირობის შედგენა);

- ტექსტის მარტივი გეგმის შედგენა;
- შეკითხვების შედგენა საყვარელ მწერალთან წარმოსახვითი ინტერვიუსთვის;
- საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა პერსონაჟის მიმართ (მოკლე დახასიათების, პერსონაჟის საქციელზე გაკეთებული კომენტარის, სახით);
- მხატვრული ტექსტის დასასრულის განსხვავებული ვერსიის შექმნა;
- კონკრეტული ცხოვრებისული გამოცდილების/განცდილი შთაბეჭდილების ამსახველი მცირე ზომის ტექსტის შედგენა (მაგ.,
- „ერთ თოვლიან დღეს“, „დიდ შესვენებაზე“;
- აღწერითი ტექსტის შედგენა (მაგ., „ჩემი ოთახი“, „ხედი ჩემი სახლის ფანჯრიდან“, „ჩემი სკოლის ეზო“) და სხვ.

პროგრამის შინაარსი

შედეგების მიღწევა შესაძლებელია მოცემული შინაარსის საფუძველზე:

1. ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება

ძირითადი თემატიკა:

ლექსიკოლოგიური ასპექტი: ლექსიკური ფონდის შევსება: სპეციალური ლექსიკა და ტერმინოლოგია; სიტყვათა სემანტიკური კავშირების (სინონიმის, ანტონიმის, ლექსიკური ბუდეების...) აქტიურად, შემოქმედებითად გამოყენება; ერთი სემანტიკური ჯგუფის სიტყვების კონტექსტურად შერჩევა; სიტყვათა ლექსიკური კავშირები (სიტყვაწარმოების საწყისი წესები, ახალ სიტყვათა წარმოქმნა); რთული შედგენილობის სიტყვები; სიტყვის მრავალმნიშვნელობა.

გრამატიკული ასპექტი: სახელის ბრუნვისა და ზმნის პირის ნიშნებთან დაკავშირებული ორთოგრაფიის წესები; სივრცული, დროითი და მიზეზშედეგობრივი მიმართებების გამომხატველი ენობრივ-გრამატიკული საშუალებები; სიტყვათა ძირითადი კლასები (მეტყველების ნაწილები) და მნიშვნელოვანი სინტაქსური მიმართებები სიტყვათა შორის; სიტყვის მორფოლოგიური აგებულება საწყის დონეზე; სიტყვათა ფორმაცვალების კანონზომიერებათა აღმოჩენა (მაგ., ზმნის უღლება, მხოლობითისა და მრავლობითის ფორმების წარმოება), სასვენი ნიშნები (წერტილი, მძიმე, კითხვისა და ძახილის ნიშნები, ბრჭყალები, ორწერტილი, მრავალწერტილი, ტირე).

2. ენის კომუნიკაციური ასპექტები

ძირითადი თემატიკა: საკომუნიკაციო ამოცანა და მისი გადაჭრის ხერხები; ჯგუფური აქტივობა (როლის შესრულება / მოკლე ზეპირი გამოსვლა); ენის სხვადასხვა ფუნქციური სტილი (სასაუბრო, სალიტერატურო) და მათი გამოყენების სფეროები; პრაგმატული ტექსტები (აბრა, რეკლამა, პლაკატი, რეცეპტი, სამახსოვრო წესები, ინსტრუქცია, სხვადასხვა ხასიათის წერილები), მათი ჩაწერისა და გაფორმების წესები.

3. მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა

ძირითადი თემატიკა: სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა ცხოვრება, სათავგადასავლო ნაწარმოებები, დიდაქტიკური თხზულებები, ფანტასტიკა, იუმორისტული და სატირული ნაწარმოებები; ყოფითი, პატრიოტული და ჰეროიკული თემები.

საკითხავი მასალა: ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერება; ნიმუშები მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორიდან: ზღაპრები, თქმულებები, ლეგენდები, მითები (ქართული, ბერძნული, რომაული და სხვ.); ადაპტირებული ნაწარმოებები, ლიტერატურული ზღაპრები (ქართველი და უცხოელი მწერლების), ლექსები და პროზაული თხზულებები; მარტივი საინფორმაციო / შემეცნებითი ტექსტები; სხვადასხვა სახის არამხატვრული ტექსტები.

ქვეპუნქტი 5. V კლასი

საფეხურებრივი სტანდარტის შედეგები და მათი შეფასების ინდიკატორები

მიმართულება: ზეპირმეტყველება	
სტანდარტის შედეგი	V კლასის შეფასების ინდიკატორები
<p>ქართ.დაწყ.(II).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს სამეტყველო ქცევის წარმართვა საკომუნიკაციო მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ ჯგუფთან ერთად ამზადებს ზეპირ გამოსვლას: დამოუკიდებლად ამუშავებს თემის ერთ-ერთ ნაწილს, მოპოვებულ მასალას და შემუშავებულ თვალსაზრისს აცნობს და უთანხმებს ჯგუფის წევრებს; ➢ გამოდის წყვილის, ჯგუფისა თუ კლასის მომხსენებლის როლში; ითვალისწინებს და გამოხატავს თანაგუნდელების საერთო აზრს; ➢ ინაწილებს პასუხისმგებლობას ჯგუფის სახელით გამოთქმულ მოსაზრებაზე; ➢ ზეპირი გამოსვლის/პრეზენტაციის დროს ნათლად წარმოადგენს თემას/საკითხს სათანადო ინფორმაციის მოწოდებითა და ლოგიკური თანამიმდევრულობის დაცვით; ➢ საუბრობს სათანადო ტემპით, მკაფიოდ და გარკვევით; საჭიროებისამებრ, იყენებს მეტყველების არავერბალურ საშუალებებს.
<p>ქართ.დაწყ.(II).2 . მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა და გაგება-გააზრება; ტექსტებზე მსჯელობა და დასკვნის გამოტანა.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ ისმენს სხვადასხვა ხასიათის საინფორმაციო ტექსტებს და ერთმანეთისაგან განარჩევს ფაქტებსა და დამოკიდებულებებს (შეფასებებს); ➢ წარმოაჩენს ნაწარმოების პერსონაჟს სხვადასხვა კუთხით (მიუთითებს მის როგორც დადებით, ისე უარყოფით თვისებებზე); ➢ ყურადღებას ამახვილებს დეტალებზე (მაგ., პერსონაჟის დახასიათებისას); ➢ გამოაქვს დასკვნა ტექსტში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე; ➢ ისმენს ერთსა და იმავე თემაზე შექმნილ ლიტერატურულ ტექსტებს და პოულობს მსგავსება-განსხვავებას მათ შორის; ➢ მონაწილეობს ლიტერატურული ნაწარმოების შესახებ გამართულ დისკუსიაში, მსჯელობს ნაწარმოებში ასახული პრობლემის/კონფლიქტის შესახებ.
<p>ქართ.დაწყ.(II).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ნაცნობი ტექსტების ინტერპრეტირება და შეფასება; მათ მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური შეფასება (საწყის დონეზე).</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას საინფორმაციო ტექსტებში გადმოცემული ფაქტების მიმართ (დადებითად/უარყოფითად ვაფასებ; აღმაფრთოვანა/აღმაშფოთა და სხვ.). ➢ ისმენს მხატვრულ ნაწარმოებს (ლექსს, ნოველას, მოთხრობას) დაგამოხატავს საკუთარ ემოციებსა და შთაბეჭდილებებს; ➢ ასახელებს მისთვის ესთეტიკურად მიმზიდველ ადგილებს მხატვრული ტექსტიდან; ➢ საუბრობს პოეტურ ნაწარმოებში გამოხატულ განწყობაზე; ➢ მონაწილეობს ლიტერატურული ნაწარმოების შესახებ გამართულ დისკუსიაში, გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას ამა თუ იმ პერსონაჟის მიმართ; ➢ ასახელებს სხვადასხვა თვალსაზრისით მისთვის საინტერესო ადგილებს ტექსტიდან.

<p>ქართ.დაწყ.(II).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ამოცნობა და ადეკვატურად გამოყენება.</p>	<p>მოსწავლე</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მართებულად შეარჩევს ბრუნვის ფორმებს კონტექსტური მნიშვნელობების გამოსახატავად; ➤ ამოიცნობს და შესაბამის კონტექსტებში მართებულად იყენებს ზმნის დრო-კილოთა სათანადო ფორმებს (მაგ., გააკეთა - აკეთებდა - გაუკეთებია და სხვ.); ➤ სწორად იყენებს არაწესიერი წარმოების (ქონა-ყოლისა და გრძობა-აღქმის) ზმნათა ფორმებს; ➤ კითხვის დასმის, თხოვნის, ბრძანების, გრძობების გადმოცემის დროს იცავს სიტყვათა რიგს და მოდალობებისთვის დამახასიათებელ ინტონაციურ თავისებურებებს; ➤ საუბრის თემის, ადრესატისა და მიზნის შესაბამისად ირჩევს შესაბამის, მაგ., სასაუბრო (ეტიკეტური დიალოგების) და მხატვრულ (განცდებსა და შთაბეჭდილებებზე საუბრის) სტილს.
<p>ქართ.დაწყ.(II).5. მოსწავლემ უნდა შეძლოს ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების მიზნის შესაბამისად შერჩევა და გამოყენება.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სვამს ადეკვატურ კითხვებს მოსმენილი ტექსტის უკეთ გასააზრებლად / ამა თუ იმ საკითხის დასაზუსტებლად (დისკუსიის დროს); ➤ მოსმენისას ჩაინიშნავს საყრდენ სიტყვებს, საყრდენ ფრაზებს; ➤ ყურადღებით ისმენს ჯგუფის თითოეული წევრის აზრს, ალაგებს გამოთქმულ მოსაზრებებს გარკვეული პრინციპით (ვის აქვს განსხვავებული მოსაზრება, რამდენი თვალსაზრისი გამოითქვა ჯგუფში...); ➤ ადგენს მარტივ გეგმას ამ მოსაზრებათა წარმოსადგენად; ➤ ქმნის ან მოიძიებს ვიზუალურ და/ან აუდიომასალას ზეპირი გამოსვლის/პრეზენტაციისა თუ სადისკუსიო თემის შესახებ; ➤ ამყარებს მხედველობით კონტაქტს თანამოსაუბრესთან, აუდიტორიასთან.
<p>დავალბათა / აქტივობათა ნიმუშები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მოსმენილის შეფასება სხვადასხვა პოზიციიდან; ➤ თანატოლებთან ერთად წაკითხული ან მოსმენილი ინფორმაციის მოკლედ, რეზიუმეს სახით გადმოცემა და ძირითადი საკითხების შესახებ როგორც ინდივიდუალურად, ასევე წყვილებში მუშაობა; ➤ მოსმენილი ამბის დროის შეცვლა, მოქმედების გადატანა წარსულში/აწმყოში/მომავალში; ➤ დადებითი და უარყოფითი ემოციის ზეპირად გადმოცემა; ➤ პერსონაჟის ხასიათის, მისთვის დამახასიათებელი თვისებების შესახებ საუბარი კონკრეტული ეპიზოდის მიხედვით; ➤ მსჯელობა მოსმენილი ან წაკითხული ტექსტის პერსონაჟზე დახასიათების სქემების გამოყენებით; ➤ ამა თუ იმ თემის შესახებ იდეებისა და თვალსაზრისების ჩამოყალიბება და ზეპირად გადმოცემა; ➤ საკუთარი თვალსაზრისის არგუმენტირება, მისი შეჯერება ჯგუფის წევრებთან; ➤ ლიტერატურული დისკუსიების ორგანიზება ნაწარმოების განხილვის მიზნით; ➤ მოკლე ზეპირი გამოსვლა ნაცნობ თემაზე/საკითხზე; ➤ გონებრივი იერიშის ჩატარება სხვადასხვა თემაზე/საკითხზე; ➤ მოსმენილ მხატვრულ ტექსტში ასახული განწყობის იდენტიფიცირება, ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების, მიღებული შთაბეჭდილების გადმოცემა; (მაგ., ე.წ. ემოციური კომენტარების მეშვეობით) და სხვ. 	

მიმართულება: კითხვა

სტანდარტის შედეგი	V კლასის შეფასების ინდიკატორები
<p>ქართ.დაწყ.(II).6. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა, გაგება და გაანალიზება არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების/დეტალების გათვალისწინებით.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ გაწაფულად კითხულობს ნაცნობ და უცნობ ტექსტებს / ტექსტების მონაკვეთებს; ➤ გამოყოფს და ასახელებს ტექსტის მთავარ საკითხებს; ➤ გამოკვეთს არსებით ინფორმაციას ტექსტის ცალკეული მონაკვეთიდან; ➤ ასახელებს ნაწარმოების თემას/ქვეთემას; ➤ ამოკრებს კონკრეტულ ინფორმაციას (სად, როდის, რამდენი, რამდენჯერ, როგორი, რითიდა სხვ.); ➤ განარჩევს მთავარ და მეორეხარისხოვან პერსონაჟებს; ➤ ახასიათებს პერსონაჟებს როგორც ექსპლიციტურად მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ისე შინაარსის გააზრების საფუძველზე; ➤ განსაზღვრავს ტექსტის ერთ მონაკვეთში ან მის სხვადასხვა ნაწილში ასახულ მოვლენებს / ფაქტებს შორის არსებულ ლოგიკურ კავშირებს (მიზეზშედეგობრივს, შეპირისპირებითს, პირობითსა და სხვ.); ➤ განარჩევს ერთმანეთისგან ფაქტსა და თვალსაზრისს; ➤ აკვირდება ტექსტზე დართულ ილუსტრაციებს და მსჯელობს, რამდენად ასახავს ილუსტრაცია ტექსტის განწყობას, რას გვეუბნება იგი ტექსტში აღწერილი ადგილის, დროის, ამბის, პერსონაჟთა ხასიათების, მათი ურთიერთდამოკიდებულებისა და ემოციების შესახებ; აფასებს, რამდენად ეხმარება მას ილუსტრაცია ტექსტის გაგებაში და/ან იძლევა თუ არა იგი დამატებით მასალას ტექსტის შესახებ. ➤ აკვირდება მწერლის ენას, ამოიცნობს ზოგიერთ მხატვრულ ხერხს (ეპითეტს, შედარებას, მეტაფორას, გაპიროვნებას), სალექსო რითმას; ➤ ამოიცნობს და განმარტავს ლიტერატურულ და ხალხურ ზღაპარს შორის მსგავსება-განსხვავებას; ➤ ამოიცნობს სხვადასხვა კულტურული და სოციალური გარემოს დამახასიათებელ სპეციფიკურ ნიშნებს (ყოფით რეალიებს, ტრადიციებს, ქცევის ნორმებს, სხვ.).
<p>ქართ.დაწყ.(II).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტების ინტერპრეტირება, დასაბუთებული დასკვნის გამოტანა და შეფასება; ტექსტების მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; კითხვით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემა.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ განმარტავს პერსონაჟთა ქცევის მოტივს და აფასებს მათს საქციელს; ➤ გამოაქვს დასკვნა პერსონაჟებს შორის არსებული ურთიერთობის შესახებ, ცდილობს ნათქვამის დასაბუთებას ტექსტის მონაცემებზე დაყრდნობით; ➤ ტექსტის მთლიანი გააზრების საფუძველზე გამოაქვს დასკვნა. ➤ ავლებს პარალელს თემატურად მსგავს ნაწარმოებებთან; ➤ მსჯელობს მისთვის საინტერესო საკითხების შესახებ და გამოხატავს საკუთარ პოზიციას; ➤ აფასებს ნაწარმოებში განვითარებულ მოვლენებს სხვადასხვა პერსონაჟის პოზიციიდან; ➤ ქმნის წაკითხული ან მოსმენილი ტექსტის ილუსტრაციას/ ილუსტრაციებს (შესაძლებელია, კომპიუტერული გრაფიკული რედაქტორის გამოყენებით); ხსნის, რა კავშირშია მის მიერ

	<p>შექმნილი ილუსტრაცია/ილუსტრაციები ტექსტთან ან ტექსტის ცალკეულ ეპიზოდთან;</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მხატვრული ტექსტის წაკითხვით გამოწვეული ემოციების გადმოსაცემად შეარჩევს ნაცნობ მუსიკალურ ნაწარმოებს/ნაწარმოების ფრაგმენტს.
<p>ქართ.დაწყ. I(I).8. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკური და სემანტიკური მახასიათებლების, სტრუქტურულ-კომპოზიციური ელემენტებისა და ენობრივ-გამომსახველობითი ფორმების ამოცნობა.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ერთი ტექსტის ფარგლებში გამოყოფს ტექსტის ფუნქციურ ტიპებს (თხრობას, აღწერას) და მიუთითებს შესაბამის ნიშნებზე; ➤ აკვირდება და აფასებს თანატოლის მიერ შექმნილ პრაგმატულ ტექსტს იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად უწყობს ხელს ტექსტის სტრუქტურა მისი შინაარსის აღქმას (ილუსტრაციისა და ტექსტის ურთიერთმიმართების, შრიფტის სახესხვაობის, რუბრიკების, ტექსტის აბზაცებად/სვეტებად დაყოფის, ნაწილების დასათაურებისა და ა.შ. საფუძველზე); ➤ კითხვების მეშვეობით ამოიცნობს ზოგ გრამატიკულ-სემანტიკურ კატეგორიას („ვინ“ და „რა“ ჯგუფის სახელებს, ზმნის დროებს...); ➤ ამოიცნობს ტექსტში ძირითად მოდალობებს; ➤ აცნობიერებს ბრუნვის ფორმათა ფუნქციონირების მრავალფეროვნებას და სათანადო სიტყვაფორმებს არჩევს კონტექსტური მნიშვნელობების გამოსახატავად; ➤ განარჩევს ზმნის დრო-კილოთა ნაირსახეობებს და შესაბამის კონტექსტებში იყენებს ამ პარამეტრების მიხედვით შერჩეულ სათანადო ფორმებს.
<p>ქართ.დაწყ. II).9. მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების მიზნის შესაბამისად შერჩევა და გამოყენება.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ შეარჩევს მცირე ზომის ტექსტს/ტექსტის ეპიზოდს ხმამაღლა წასაკითხად, წინასწარ გადაიკითხავს მას, გადის რეპეტიციას (მეწყვილესთან, მასწავლებელთან, მშობელთან, სხვ.); ➤ ხმამაღლა კითხვისას შინაარსის შესაბამისად ცვლის სხეულის ენას (მიმიკას, ფესტიკულაციას); ➤ ინფორმაციის უკეთ გააზრების მიზნით ტექსტს ყოფს მონაკვეთებად და ასათაურებს მათ; ➤ სხვადასხვა საშუალებით (კონტექსტის გათვალისწინებით, კითხვის დასმით, ლექსიკონით) ამოიცნობს უცნობი სიტყვებისა და გამოთქმების მნიშვნელობას; ➤ სხვადასხვა საყრდენის (სათაურის, აბზაცების დასაწყისის, საკვანძო სიტყვების, ერთ-ერთი აბზაცის, გამოყოფილი სიტყვების) მოშველიებით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის/ტექსტის მონაკვეთის შინაარსის შესახებ; ➤ კონკრეტული ინფორმაციის მოსაძიებლად თვალს გადაავლებს ტექსტის სტრუქტურას, სიტყვიერ და არასიტყვიერ მარგანიზებულ ელემენტებს და მათზე დაყრდნობით ამოკრებს საჭირო მასალას/მონაცემებს; ➤ იყენებს სხვადასხვა ხერხს, რომლებიც ხელს უწყობს ტექსტის გაგებას (მაგ., წარმოსახვაში აცოცხლებს ტექსტში გადმოცემულ ამბებს, ახდენს ტექსტში გადმოცემული ამბის ინსცენირებას, საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ტექსტის ცალკეული მონაკვეთის შინაარსს, აკვირდება დასმულ კითხვას იმის დასადგენად, თუ რა ტიპის ოპერაციას მოითხოვს იგი და სხვ.); ➤ იყენებს სხვადასხვა სახის ბეჭდურ და ციფრულ რესურსებს (ბეჭდურ და/ან ონლაინ ლექსიკონს, საბავშვო ენციკლოპედიას, სხვ.) კონკრეტული ინფორმაციის მოსაპოვებლად, უცნობი სიტყვის მნიშვნელობის დასაზუსტებლად, გაუგებარი ან ბუნდოვანი

- ადგილების გასააზრებლად;
- დამოუკიდებლად, საკუთარი ინტერესების შესაბამისად ირჩევს საკითხავ ლიტერატურას.

დავალბათა / აქტივობათა ნიმუშები:

- გამომსახველობითი კითხვის სესიის/კონკურსის ორგანიზება (შესაძლებელია ცალკეული ნომინაციების დაწესებაც - მაგ., ყველაზე სწრაფი მკითხველი, ყველაზე ზუსტი (უმეცდომოდ) მკითხველი და სხვ.);
- ტექსტის დაყოფა შინაარსობრივ მონაკვეთებად;
- საგანთა თუ მოვლენათა კლასიფიცირება გრაფიკული სქემების გამოყენებით;
- დაკვირვება კონკრეტული სახის პრაგმატული ტექსტის ენობრივ და სტილურ ფორმებზე (მაგ., მოძრაობის წესების ჩამონათვალზე დაკვირვების გზით იმის აღმოჩენა, რომ ტექსტში უმეტესწილად გამოიყენება წართქმითი ან უკუთქმითი ბრძანებითი კილოს ფორმები: „შეჩერდით“, „ნუ გადახვალთ“, სხვ., ხოლო ზმნებს აქვთ იმპერატიული შინაარსი: „უნდა“, „საჭიროა“, „დაუშვებელია“, „აუცილებელია“ და ა. შ.);
- დაკვირვება ტექსტის ფუნქციურ ტიპებზე - თხრობასა და აღწერაზე მათი სპეციფიკური ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა (მაგ., იმის დადგენა, რომ აღწერით ტექსტებში ზმნები გვხვდება მცირე რაოდენობით, უმეტესწილად გამოიყენება ზედსართავები და ნაზმნარი ზედსართავები, ანუ მიმღობები; თხრობით ტექსტებში კი, პირიქით, ზმნები გამოიყენება ჭარბად, მოქმედების თანამიმდევრულობის გადმოსაცემად გამოყენებულია მარკერები და ა. შ.);
- ფაქტებს შორის ურთიერთკავშირის ამსახველი სქემების შედგენა;
- მსგავს თემაზე შექმნილი ნაწარმოებების გამაერთიანებელი და განმასხვავებელი ნიშნების დადგენა გრაფიკული სქემების საშუალებით;
- ნაწარმოების შინაარსის გადმოცემა მეორეხარისხოვანი პერსონაჟების / უსულო საგნების პირით;
- მხატვრული სიმბოლოების შემცველი ფრაზების ახსნა და საკუთარი სიტყვებით გადმოცემა;
- ნაწარმოების წაკითხვით აღძრული ემოციების გადმოსაცემად ფერების, მუსიკის, სხვადასხვა ხმოვანი ეფექტების შერჩევა;
- წინადადებაში გამოტოვებულ ადგილას ამა თუ იმ მეტყველების ნაწილის შესაბამისი ფორმით ჩასმა;
- ვარაუდების სქემის შევსება კითხვის დაწყებამდე;
- ილუსტრაციის მიხედვით ნაწარმოების განწყობის/შინაარსის ამოცნობა;
- ლექსიკონის (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული) ინდექსის გამოყენება;
- არასწორი თანამიმდევრობით (აზრობრივი შესაბამისობის დარღვევით) მოწოდებული აზრების თანამიმდევრობის აღდგენა მცირე ზომის ტექსტში;
- საკითხავი დავალებების შესრულების შემდეგ ინტერაქცია გამოყენებული სტრატეგიების შესახებ (ვინ რა მიდგომა/ხერხი გამოიყენა); მოსაზრებების გამოთქმა იმის შესახებ, თუ რომელი მიდგომა იყო ან იქნებოდა უფრო მისადაგებული/ეფექტური და რატომ) და სხვ.

მიმართულება: წერა

სტანდარტის შედეგები	V კლასის შეფასების ინდიკატორები
<p>ქართ.დაწყ.(II).10. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის ტექსტების შექმნა ნაცნობ თემატიკაზე სხვადასხვა მიზნით</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ წერს ჩანახატებს, მცირე ზომის მხატვრულ ტექსტებს, ➤ თანამიმდევრულად გადმოსცემს სათანადო ინფორმაციას, კონკრეტულ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, განცდილ შთაბეჭდილებას, ფაქტებსა და მოვლენებს; ➤ გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას ამა თუ იმ საკითხის/თემის მიმართ; ➤ გამოხატავს და ასაბუთებს თვალსაზრისს; ➤ წერისას აქცენტს აკეთებს მთავარ და არსებით მომენტებზე.
<p>ქართ.დაწყ.(II).11. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ელემენტების მიზნობრივად შერჩევა და სათანადოდ გამოყენება; ქართული სალიტერატურო ენის ძირითადი ნორმების დაცვა.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მიზნისა და აუდიტორიის შესაბამისად შეარჩევს იყენებს შესაბამის ლექსიკურ ერთეულებს, ენობრივ-გრამატიკულ საშუალებებს, ➤ თანამიმდევრულობისა და ლოგიკური შესაბამისობის დაცვით ყოფს ტექსტს აზნაცებად; ➤ მარტივი მხატვრული ტექსტების შედგენისას ცდილობს ნაცნობი მხატვრული ხერხების გამოყენებას, ➤ მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებიდან კონტექსტის მიხედვით შეარჩევს სათანადო ლექსიკურ ერთეულს; ➤ აქტიურად იყენებს მეტყველების ნაწილთა ძირითად ფორმოებრივ თავისებურებებს (სახელთა ბრუნებას, სიტყვაწარმოებას, სხვადასხვა დრო-კილოთა ზმნური სიტყვაფორმებს...); ➤ ზმნის ფორმაცვალებისას მართებულად შეუწყობს სახელებს ბრუნვასა და რიცხვში; ➤ მართებულად იყენებს შეფასების / დამოკიდებულების გამომხატველ ენობრივ ფორმულებს (მაგ. „არ გეთანხმები“, „მეც ასე მგონია“, „მეჭკვება“, „არ მჯერა“, „შესაძლოა ასეც იყოს, მაგრამ...“ და ა. შ).
<p>ქართ.დაწყ.(II).12. მოსწავლემ უნდა შეძლოს წერის ნაცნობი სტრატეგიების მიზნის შესაბამისად შერჩევა და გამოყენება.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ წერის დაწყებამდე წინასწარ ირჩევს თემას; წინასწარ ირჩევს სასურველ ჟანრს; ➤ განსაზღვრავს წერითი ნამუშევრის მიზანსა და აუდიტორიას; ➤ დამატებითი ინფორმაციის მოსაძიებლად იყენებს ბეჭდურ/ელექტრონულ რესურსებს; ➤ იყენებს მოდელს, საყრდენებს, მითითებებს, ტექსტის გეგმას; საჭიროებისამებრ, იყენებს გრაფიკულ მათარგანიზებებს; ➤ ნაწერის სრულყოფის მიზნით ხელახლა გადაიკითხავს ნამუშევარს, ასწორებს სტილისტურ ხარვეზებს და გრამატიკულ შეცდომებს (მაგ: სუბიექტ-ობიექტისა და ზმნის სინტაქსური ურთიერთობის წესების დარღვევისას), ითვალისწინებს ზმნის პირის ფორმათა აგების კანონზომიერებებს; ➤ ხმამაღლა კითხულობს და საჭიროების შემთხვევაში ხვეწს ნამუშევარს ესთეტიკური და/ან სტილისტური თვალსაზრისით, ანაცვლებს უკეთესი ვარიანტით.
<p>დავალებათა / აქტივობათა ნიმუშები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ტექსტიდან საკვანძო სიტყვების/ფრაზების ამოწერა; ➤ ტექსტის მოკლე შინაარსის დაწერა (წინასწარ შედგენილ გეგმაზე დაყრდნობით); ➤ ერთსა და იმავე კონკრეტულ თემასთან/საკითხთან დაკავშირებული პრაგმატული ტექსტის (წერილის, კულინარიული, რეცეპტის, რჩევა-დარიგების) შედგენა ორი განსხვავებული ვერსიის სახით სხვადასხვა ასაკისა და სოციალური მდგომარეობის პირებისთვის (მაგ., თანაკლასელისა და მასწავლებლისთვის); ➤ ჩანახატის შექმნა კონკრეტულ თემაზე (საკლასო გაზეთისა და ჟურნალისათვის); 	

- განცდილი შთაბეჭდილების, კონკრეტული ცხოვრებისეული გამოცდილების გადმოცემა(მაგ., „ჩვენი ექსკურსია მცხეთაში“);
- ნაცნობ/საინტერესო თემაზე მცირე ზომის მარტივი მხატვრული ტექსტის (ზღაპრის, მცირე მოთხრობის) შედგენა და დასათაურება (მაგ., „ჯიუტი ბიჭის ზღაპარი“) და სხვ.

პროგრამის შინაარსი

შედგების მიღწევა შესაძლებელია მოცემული შინაარსის საფუძველზე:

1. ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება

ძირითადი თემატიკა:

ლექსიკოლოგიური ასპექტი: ფართოვდება მოსწავლის ლექსიკური მარაგი; მოზარდი უკვე აქტიურად იყენებს ფრაზეოლოგიზმებსა და ხატოვან სიტყვა-თქმებს; ეფექტურად იყენებს სიტყვათა ლექსიკურ კავშირებს, აწარმოებს ახალ სიტყვებს; ესმის სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით ხმარების დანიშნულება სათქმელის ხატოვნად და ამომწურავად გადმოცემის პროცესში.

გრამატიკული ასპექტი:

ძირითადი მოდალობების ამოცნობა ტექსტში; სიტყვების შედარება მორფოლოგიური აგებულების თვალსაზრისით (სახელის ბრუნვის ფორმების, სახელური სიტყვაწარმოების ძირითადი წესების მიხედვით); ზმნის საერთო ფუძის გამოყოფა ზმნური სიტყვაფორმების შედარება-შეპირისპირების საფუძველზე); მნიშვნელოვანი სინტაქსური მიმართებების ამოცნობა სიტყვათა შორის (ზმნასა და სახელს შორის შეთანხმება პირსა და რიცხვში, რიცხვითი და/ან ზედსართავი სახელისა და არსებითი სახელის ბრუნება...).

2. ენის კომუნიკაციური ასპექტები

ძირითადი თემატიკა: ინდივიდუალური და ჯგუფური საკომუნიკაციო ამოცანების დაგეგმვა, მომზადება და გადაჭრა; გუნდური განაწილების პრინციპით საკითხის მომზადება და ერთობლივი მოხსენების წარმოდგენა; სადისკუსიო სტრატეგიები და ხერხები (მსჯელობის მიზანი, არგუმენტი და დასკვნა); სადისკუსიო ეტიკეტი და სტრატეგიები (ნათლად, გასაგებად ჩამოყალიბებული პოზიცია, არგუმენტები); არგუმენტის სახეები (ფაქტობრივი, ანალოგიაზე დამყარებული). მასალის მოპოვება, დამუშავება და კითხვის სტრატეგიები (სხვადასხვა სახის ლექსიკონებითა და ენციკლოპედიებით სარგებლობა). ენის განსხვავებული ფუნქციური სტილი (სასაუბრო, სასწავლო-სამეცნიერო, მხატვრულ-ლიტერატურული); ტექსტის ტიპები: პრესაში გამოქვეყნებული სხვადასხვა ხასიათის სტატიები (ისტორიულ-ეთნოგრაფიული, შემეცნებითი, იუმორისტული); მიზნობრივი ტექსტების აგების პრინციპები (დაკვირვება ენობრივ-სტილურ საშუალებებსა და ლექსიკაზე), ეპისტოლარული ჟანრი (თხრობა, მსჯელობა, აღწერა კონკრეტული ადრესატისთვის).

3. მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა

ძირითადი თემატიკა: მოთხრობები ბავშვთა ოცნებებსა და ფანტაზიებზე, მათს ცხოვრებაზე, ზნეობრივ პრობლემებზე, ადამიანურ ურთიერთობებზე, ადამიანისა და ბუნების ურთიერთობაზე; პატრიოტული და სამოქალაქო ჟღერადობის, ისტორიულ თემატიკაზე შექმნილი ნაწარმოებები.

საკითხავი მასალა: ფოლკლორული ჟანრები: ზღაპარი, ბალადა, ლექსები, თქმულებები, ლეგენდები (ქართული და უცხოური); იგავ-არაკები, დიდაქტიკური ხასიათის თხზულებები, ბიბლიური მოთხრობები, სახარებისეული იგავები; სხვადასხვა ეპოქის ქართველ და უცხოელ კლასიკოსთა ნაწარმოებები (ადაპტირებული და შემოკლებული ტექსტები), ქართული ლირიკის ნიმუშები; თანამედროვე ქართული პროზის ნიმუშები.

ქვეპუნქტი 6. VI კლასი

საფეხურებრივი სტანდარტის შედეგები და მათი შეფასების ინდიკატორები

მიმართულება: ზეპირმეტყველება	
სტანდარტის შედეგები	VI კლასის შეფასების ინდიკატორები
<p>ქართ.დაწყ.(II).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს სამეტყველო ქცევის წარმართვა საკომუნიკაციო მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ისმენს და ადეკვატურად აღიქვამს სხვადასხვა სახის და განსხვავებული ფორმით მოწოდებულ ზეპირ ინფორმაციას; ➤ თანატოლებთან ერთად მსჯელობს და კამათობს მოსმენილი/წაკითხული ინფორმაციის შესახებ; ➤ ინდივიდუალურად ან თანამოაზრეებთან ერთად მონაწილეობს დისკუსიაში; ➤ ჯგუფთან წარმოადგენს და სათანადო არგუმენტებით იცავს საერთო პოზიციას; ➤ წინასწარ შედგენილი მოკლე გეგმის მიხედვით მოამზადებს და წარმოადგენს ზეპირ მოხსენებას/პრეზენტაციას სხვადასხვა ნაცნობ თემაზე, მოჰყავს სათანადო ინფორმაცია ლოგიკური თანამიმდევრულობის დაცვით, გამოკვეთს არსებით საკითხს/საკითხებს; ➤ საუბრობს ნათლად და გარკვევით, გააზრებულად იყენებს შესაბამის არავერბალურ საშუალებებს; ➤ მეტყველების პროცესში თავისუფლად გადმოსცემს სხვის ნათქვამს; ➤ ამოიცნობს მოცემულ კულტურულ გარემოში მოქმედ წესებს, ეტიკეტურ ნორმებს, ცდილობს მათ გათვალისწინებას კომუნიკაციის დამყარებისას.
<p>ქართ.დაწყ.(II).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა და გაგება-გააზრება; ტექსტებზე მსჯელობა და დასკვნის გამოტანა.</p>	<p>მოსწავლე</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მსჯელობს ნაწარმოებში განვითარებულ მოვლენებზე სხვადასხვა პერსონაჟის პოზიციიდან; ➤ მსჯელობს ტექსტში გამოკვეთილ ცალკეულ მოვლენებსა და ფაქტებს შორის მიზეზშედეგობრივ კავშირზე; ➤ უკავშირებს ერთმანეთს ტექსტის ცალკეულ მონაკვეთებს, ამოიცნობს ლოგიკურ კავშირებს მათ შორის; ➤ ყურადღებას ამახვილებს კონკრეტულ დეტალებზე, გააზრებს მათ ნაწარმოების საერთო კონტექსტში; ➤ აკავშირებს ტექსტის ინფორმაციას პირად და/ან ლიტერატურულ გამოცდილებასთან, გამოაქვს სათანადო დასკვნა.
<p>ქართ.დაწყ.(II).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ნაცნობი ტექსტების ინტერპრეტირება და შეფასება; მათ მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური შეფასება (საწყის დონეზე).</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას ამა თუ იმ ფაქტისადმი; ➤ მხატვრულ ტექსტში მოცემული ამბის გააზრება/შეფასება გადმოცემა სხვადასხვა პერსონაჟის პოზიციიდან; ➤ ასახელებს მისთვის აზრობრივი და მხატვრული თვალსაზრისით მნიშვნელოვან ეპიზოდებს, გამონათქვამებს და ახდენს მათს ინტერპრეტირებას; ➤ აფასებს პერსონაჟების ქმედებას კონფლიქტურ, წინააღმდეგობრივი ხასიათის მქონე ეპიზოდებში; ➤ ირჩევს ტექსტში ასახული კონკრეტული პრობლემის გადაჭრისათვის შეთავაზებულ ალტერნატიულ ვარიანტებს შორის მისი თვალსაზრისით საუკეთესოს; ➤ სთავაზობს აუდიტორიას ნაწარმოებში გამოკვეთილი კონკრეტული პრობლემის გადაჭრის საკუთარ ვერსიას.

<p>ქართ.დაწყ.(II).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ამოცნობა და ადეკვატურად გამოყენება.</p>	<p>მოსწავლე</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ სამეტყველო ვითარებაში მოიძიებს და იყენებს აზრის გამოთქმისთვის აუცილებელ ლექსიკურ და გრამატიკულ საშუალებებს; ➢ ერკვევა ზმნის ძირითადი კატეგორიების (პირის, რიცხვის, პირიანობის, დროის, კილოს) არსში და საჭიროებისამებრ იყენებს მათ: სწორად უთანხმებს სახელთა ბრუნვის ფორმებს ზმნას დროისა და პირის გათვალისწინებით (მაგ., აშენებს ის მას, ააშენა მან ის, აუშენებია მას ის...); ➢ განარჩევს სიტყვის შინაარსობრივ მრავალფეროვნებას და სათანადოდ იყენებს მას მეტყველების დროს; ➢ ამოიცნობს ადრეული პერიოდის ქართული სალიტერატურო ენის ძირითად ენობრივ თავისებურებებს (სახელთა ბრუნვისას, რიცხვითი ფორმების წარმოებისას, ზმნის უღლებისას); ➢ ამოიცნობს სხვადასხვა ჟანრის, სტილის, ეპოქის ენისათვის დამახასიათებელ ენობრივ ფორმებს, მათი მხატვრულ-ესთეტიკურ ფუნქციას.
<p>ქართ.დაწყ.(II).5. მოსწავლემ უნდა შეძლოს ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების მიზნის შესაბამისად შერჩევა და გამოყენება.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ მონაწილეობს დისკუსიის, დებატების წესების შემუშავებაში, მოსამზადებელი სამუშაოს განაწილებაში, საერთო ჯგუფური დავალების შესრულებაში; ➢ სხვადასხვა საშუალებით (ბიბლიოთეკის, ინტერნეტის და ა.შ. მეშვეობით) აგროვებს მასალას, გააცნობს მას ჯგუფის წევრებს და ითვალისწინებს მათს აზრს; ➢ წინასწარ ამხადებს საჭირო რესურსს/თვალსაჩინოებებს; ➢ აუდიტორიის წინაშე გამოსვლამდე გადის რეპეტიციას; ➢ შემოიფარგლება კონკრეტული თემით და თავს არიდებს ზოგად საკითხებზე მსჯელობას; ➢ აზრის გამოთქმისას იცავს მიღებულ ფორმლობებს (დგება აუდიტორიის წინ და ამყარებს მსმენელებთან მხედველობით კონტაქტს; იყენებს მეტყველების ეტიკეტურ ფორმებს, სხვ.); ➢ ანალიზებს იმ ფაქტორებს, რომლებმაც ხელი შეუწყო წარმატების მიღწევაში ან გამოიწვია წარუმატებლობა ზეპირი გამოსვლის დროს და მასწავლებელთან ერთად ისახავს გამოსწორების გეგმას.
<p>დავალბებათა / აქტივობათა ნიმუშები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ სხვის მიერ მოთხოვნილი ამბის/გამოთქმული მოსაზრების გადმოცემა საკუთარი სიტყვებით; ➢ მოკლე გეგმის მიხედვით ზეპირი მოხსენების მომზადება სხვადასხვა თემაზე; ➢ მხატვრულ ტექსტში მთავარი პრობლემის/კონფლიქტის იდენტიფიკაცია და მასთან პერსონაჟის მიმართების გააზრება/ზეპირად გადმოცემა; ➢ მხატვრულ / მოსმენილ ნაწარმოებებში არქაული ფორმების ამოცნობა და მათ თანამედროვე ფორმებით ჩანაცვლება; ➢ ნაცნობი ტექსტის პერსონაჟის წარმოსახვითი აღწერა (იმ შემთხვევებში, როდესაც ტექსტში არ გვხვდება პერსონაჟის პორტრეტი); ➢ არაოფიციალური კამათი/არაოფიციალური დებატები მოსწავლეთა ორ ჯგუფს შორის (მათთვის საინტერესო პრობლემურ თემაზე/საკითხზე); ➢ მოსმენილი/წაკითხული ფრაგმენტის საფუძველზე მთლიანი ტექსტის რეკონსტრუირება; ➢ ზეპირი მოხსენება ნაცნობ თემაზე/საკითხზე (მაგ., შესწავლილი ნაწარმოების მოქმედების დროსთან თუ ადგილთან დაკავშირებული დამატებით მოძიებული ინფორმაციის წარმოდგენის სახით); ➢ შესრულებული პროექტების პრეზენტაცია კლასის წინაშე; ➢ მინისპექტაკლების დადგმა; ➢ ლიტერატურული სამსჯავრო; ➢ ლიტერატურული სადამოების/შეხვედრების ორგანიზება (შეხვედრები მწერლებთან, მეცნიერებთან, 	

სპორტსმენებთან) და სხვ.

მიმართულება: კითხვა

სტანდარტის შედეგი

ქართ.დაწყ.(II).6. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა, გაგება და გაანალიზება არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების/დეტალების გათვალისწინებით.

VI კლასის შეფასების ინდიკატორები

მოსწავლე:

- გაწაფულად კითხულობს ნაცნობ და უცნობ ტექსტებს;
- ხმამაღლა კითხვისას ინტონაციით გამოხატავს ტექსტში ასახულ ემოციებს; ცდილობს მხედველობითი კონტაქტის დამყარებას აუდიტორიასთან;
- ამოიცნობს მხატვრული და არამხატვრული (პრაგმატული) ტექსტის საკომუნიკაციო სიტუაციას (მიზანს, ავტორს, ადრესატს...);
- ახალ ინფორმაციას აკავშირებს არსებულ ცოდნასთან და გამოცდილებასთან;
- ამოიცნობს და ერთმანეთთან აკავშირებს ტექსტში არსებულ სხვადასხვა სახის ინფორმაციას;
- განარჩევს ვარაუდს ფაქტისაგან, ფაქტს - თვალსაზრისისაგან;
- ამოიცნობს მოვლენებს, ფაქტებს, მოქმედებებს შორის არსებულ ლოგიკურ და ქრონოლოგიურ კავშირებს;
- განსაზღვრავს ცალკეული პერსონაჟის ხედვის კუთხეს;
- გამოკვეთს მთავარ ინფორმაციას და გადმოსცემს მას საკუთარი სიტყვებით;
- ამოიცნობს ზოგიერთ მხატვრულ ხერხს (ეპითეტს, შედარებას, გაპიროვნებას, მეტაფორას), ხატოვან გამონათქვამებს და გაიაზრებს მათს ფუნქციას;
- თხრობითი ხასიათის ტექსტებში გამოყოფს სიუჟეტის განვითარების საფეხურებს (დასაწყისს, მოქმედების განვითარებას და დასასრულს) და ასაბუთებს საკუთარ თვალსაზრისს ტექსტში მოძიებული კონკრეტული არგუმენტებით;
- სწორად „ამოიკითხავს“ ტექსტის ინტონაციას, პაუზებს, აზრობრივ აქცენტებს.
- მართებულად იყენებს ადმინისტრაციული ხასიათის მარტივ ტექსტებს (სხვადასხვა ინსტრუქციას, ამა თუ იმ დაწესებულებაში მოქმედ წესებს, ფორმულარებს).

ქართ.დაწყ.(II).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტების ინტერპრეტირება, დასაბუთებული დასკვნის გამოტანა და შეფასება; ტექსტების მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; კითხვით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოსცემა.

მოსწავლე:

- გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებებს ლიტერატურული ტექსტის სიუჟეტში განვითარებული მოვლენების შესახებ;
- განმარტავს პერსონაჟთა ქცევის მოტივს და უკავშირებს საკუთარ გამოცდილებას;
- მსჯელობს ნაწარმოებში დრამატულად განვითარებული მოვლენების შესახებ;
- საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად იშველიებს ლიტერატურულ ტექსტებს, რეალურ ფაქტებს, მაგალითებს პირადი ცხოვრებიდან;
- ასოციაციურად უკავშირებს ერთმანეთს მხატვრულ ამბავსა და რეალურ მოვლენას.
- გამოხატავს უშუალო, ცოცხალ განცდასა და დაკვირვებაზე დაფუძნებულ შეხედულებებს მისთვის მნიშვნელოვანი, პრობლემური საკითხების შესახებ;
- ავლებს პარალელს ლიტერატურულ ნაწარმოებებს შორის ჟანრის, თემისა და პრობლემატიკის მიხედვით;
- მსჯელობს პოეტურ ნაწარმოებში გამოხატულ განწყობილებაზე;

	<ul style="list-style-type: none"> ➤ ასახელებს მისთვის ესთეტიკური თვალსაზრისით მიმზიდველ ადგილებს და ხსნის აღნიშნულ ეპიზოდში გამოყენებული ნაცნობი მხატვრული ხერხების დანიშნულებას; ➤ გამოაქვს დასკვნა მთლიანი ტექსტის გააზრების საფუძველზე; ➤ უდარებს წაკითხულ ნაწარმოებს მის ეკრანიზებულ და თეატრალიზებულ ვერსიებს;
<p>ქართ.დაწყ.(II).8. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკური და სემანტიკური მახასიათებლების, სტრუქტურულ-კომპოზიციური ელემენტებისა და ენობრივ-გამომსახველობითი ფორმების ამოცნობა.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ასახელებს ადმინისტრაციული ხასიათის მარტივი ტექსტების ფორმალურ ნიშნებს, როგორებიცაა, მაგ., მკაცრად ლაკონიური სტილი, ტექსტის პირობითი ფორმა (ბლანკის ტიპისა); სპეციალური/დარგობრივი ტერმინოლოგია და ა. შ.; ➤ იცნობს ბეჭდური და ელექტრონული პრესის სტრუქტურას და სწორად მოიძიებს საჭირო ინფორმაციას (ხვდება, მისთვის სასურველი ინფორმაცია თუ სტატია რომელ ნაწილში უნდა იყოს განთავსებული); ➤ ამოიცნობს სხვადასხვა მოდალობის (სურვილის, შესამღებლობის) გამომხატველ სიტყვებს; ➤ ერკვევა ზმნის ძირითადი კატეგორიების (პირის, რიცხვის, პირიანობის, დროის, კილოს) არსში და საჭიროებისამებრ იყენებს მათ; ➤ ამოიცნობს და განარჩევს არსებით, ზედსართავ, რიცხვით სახელებს და მათ ფუნქციას; გაიაზრებს ზმნიზედის ფუნქციას ზმნური შინაარსის გამოხატვაში; ➤ ამოიცნობს და განარჩევს სხვათა სიტყვის აღმნიშვნელ ნაწილაკებს (-მეთქი; -თქო; -ო); ➤ ამოიცნობს ზმნისწინის ფუნქციას, განარჩევს ზმნისწინით გამოხატულ ძირითად მნიშვნელობებს; ➤ ამოიცნობს წინადადების ძირითად წევრებსა და ძირითად შესიტყვებებს; ➤ განასხვავებს სხვადასხვა ფუნქციურ სტილს: სასაუბროს (ეტიკეტური დიალოგების), სასწავლო-სამეცნიეროს (რადაცის ახსნის ან დამტკიცებისათვის აუცილებელი მსჯელობისთვის) და მხატვრულს (შთაბეჭდილების გადმოსაცემად).
<p>ქართ.დაწყ.(II).9. მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების მიზნის შესაბამისად შერჩევა და გამოყენება.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სვამს კითხვებს წაკითხული ტექსტის უკეთ გააზრების მიზნით; ➤ კითხვისას წამოჭრილი სირთულეების დასამღვეად მიმართავს სხვადასხვა საშუალებას: თავიდან გადაიკითხავს რთულ ან მნიშვნელოვან ნაწილებს, აკეთებს ჩანაწერებს, კომენტარებს უკეთებს ტექსტის ცალკეულ ნაწილებს; კონტექსტზე, გამოცდილებაზე დაყრდნობით ან ლექსიკონის დახმარებით აზუსტებს უცხო სიტყვების მნიშვნელობას; ➤ სხვადასხვა ელემენტის (სათაურის, აბზაცების დასაწყისის, საკვანძო სიტყვების, ერთ-ერთი აბზაცის, გამოყოფილი სიტყვების) გამოყენებით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის/ტექსტების მონაკვეთის შინაარსის შესახებ; ➤ ანალიზებს თანატოლების მიერ შესრულებულ საკითხავ დავალებებს - განარჩევს სწორ და მცდარ პასუხებს; ხსნის, რატომ ვერ გასცა მოსწავლემ სწორად პასუხი, რა ვერ გაიგო, რატომ შეცდა იგი და სხვ.; ➤ ტექსტის სახისა და საკითხავი ამოცანის გათვალისწინებით, ირჩევს კონკრეტულ სტრატეგიას/მიდგომას და ხსნის თავის არჩევანს; ➤ ენციკლოპედიების, ლექსიკონებისა და ინტერნეტის საშუალებით აზუსტებს ტექსტში მოთხრობილ უცნობ ან გაუგებარ ამბავს;

➤ მიზნობრივად იყენებს ბეჭდურ და ელექტრონულ ორთოგრაფიულ, განმარტებით და სხვ. ლექსიკონებს.

დავალებათა / აქტივობათა ნიმუშები:

- არეულად მოცემული ეპიზოდების/ნაწყვეტების დალაგება ლოგიკური თანმიმდევრობით;
- ტექსტში „გამოტოვებული“ (ავტორის მიერ ნაგულისხმევი) ეპიზოდების აღდგენა;
- მოვლენათა ჯაჭვის შექმნა მიზეზშედეგობრიობის პრინციპით, გრაფიკული სქემის გამოყენებით;
- დისკუსიისთვის ტექსტში არგუმენტების მოძიება;
- ტექსტში (ბეჭდური თუ ელექტრონული) მოძიებული ინფორმაციის გამოყენებით რადიო ან სატელევიზიო ახალი ამბების რეპორტაჟის მომზადება;
- სემანტიკური რუკების შედგენა;
- მხატვრული და არამხატვრული ტექსტების შედარება ლექსიკური თვალსაზრისით;
- მასწავლებლის მითითებით ტექსტში რომელიმე მეტყველების ნაწილის გამოყოფა და ფორმაცვალება (დროის, რიცხვის, კილოს და ა.შ. შეცვლა), დაკვირვება მიღებულ შედეგზე;
- უცნობი სიტყვებისა და ფრაზების სინონიმური განმარტებებით ჩანაცვლება;
- ვარაუდების სქემის შევსება კითხვის დაწყებამდე;
- ფრაზეოლოგიზმების შინაარსის ამოცნობა კონტექსტზე დაყრდნობით;
- ინფორმაციის მისაღებად წყაროს შერჩევა;
- კრიტერიუმების კითხვარის შემუშავება ინფორმაციის წყაროს საიმედოობის შესაფასებლად;
- იმის შესახებ მსჯელობა, თუ რომელ საგნებში და/ან რა სახის ტექსტების წაკითხვისას შეიძლება აღნიშნული სტრატეგიების გამოყენება;
- წაკითხული წიგნების კატალოგის შედგენა (მოკლე ანოტაციით);
- გაბმული სახით (აბზაცების გარეშე) წარმოდგენილი ტექსტის დაყოფა აბზაცებად და სხვ.

მიმართულება: წერა

სტანდარტის შედეგები	VI კლასის შეფასების ინდიკატორები
<p>ქართ.დაწყ.(II).10. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის ტექსტების შექმნა ნაცნობ თემატიკაზე სხვადასხვა მიზნით</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ თანამიმდევრულად და ლოგიკური ხაზის დაცვით გადმოსცემს სათანადო ინფორმაციას, იდეას/თემას, კონკრეტულ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, განცდილ შთაბეჭდილებას, ფაქტებსა და მოვლენებს; ➤ კონკრეტული ლიტერატურული ჟანრის ტექსტის დასაწყისის მიხედვით ქმნის შესაბამისი მხატვრული ფორმის მცირე ზომის თხზულებას; ➤ ავლენს ფაქტისადმი (მოვლენისადმი) საკუთარ დამოკიდებულებას, ახერხებს მის ემოციურ შეფასებას; ➤ მიზნის, თემისა და რესპოდენტის გათვალისწინებით ადგენს სხვადასხვა სახის პრაგმატულ ტექსტებს; ➤ გამოთქვამს მოსაზრებას და ასაბუთებს მას ადეკვატური მტკიცებულებებით (ფაქტებით, მაგალითებით, სხვ.); ➤ გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას და ხსნის მას.
<p>ქართ.დაწყ.(II).11. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ელემენტების მიზნობრივად შერჩევა და სათანადოდ გამოყენება; ქართული სალიტერატურო ენის ძირითადი ნორმების დაცვა.</p>	<p>მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სათანადოდ იყენებს სტრუქტურულ-კომპოზიციურ ელემენტებს (სათაურს, აზნაცს, სხვ.) წერილობითი ტექსტის შედგენისას. ➤ მხატვრული ტექსტის/ეპიზოდის შინაარსის გადმოცემისას იყენებს ავტორისეულ ლექსიკას, ➤ მხატვრული ტექსტის შედგენისას ცდილობს ნაცნობი მხატვრული ხერხების (ეპითეტის, შედარების, მეტაფორის) გამოყენებას; ➤ ინფორმაციული ტექსტების შედგენისას იყენებს სპეციალურ/დარგობრივ ტერმინოლოგიას; ➤ მიზნის შესაბამისად იყენებს სათანადო ლექსიკურ და გრამატიკულ საშუალებებს; ➤ სწორად იყენებს ირიბ ნათქვამსა და ციტირებას; ➤ განარჩევს ნაცვალსახელთა ჯგუფებს და შესაფერის კონტექსტში სწორად უნაცვლებს მათ სათანადო სახელთა ფორმებს; ➤ მართებულად იყენებს მისათითებელ სიტყვათა და კავშირთა (წევრ-კავშირთა) კონსტრუქციულ შესაძლებლობებს მიზეზშედეგობრიობისა თუ სხვა ნიუანსების გადმოსაცემად; ➤ მართლწერის შესამოწმებლად იყენებს დამხმარე საშუალებებს; ➤ იყენებს სხვადასხვა სტილისტურ თუ ენობრივ-გრამატიკულ საშუალებას ფუნქციური ტექსტების შესადგენად; ➤ სწორად იყენებს სასვენ ნიშნებს; ➤ კონტექსტის მიხედვით მართებულად იყენებს ენობრივად სწორ, დასაშვებ და შესაძლებელ ფორმებს.

ქართ.დაწყ.(II).12. მოსწავლემ უნდა შეძლოს წერის ნაცნობი სტრატეგიების ადეკვატურად გამოყენება.

მოსწავლე:

- წერის მოსამზადებელ ეტაპზე მონაწილეობს იდეების გენერირებაში, ნაწერის თემის განსაზღვრაში;
- წერის დაწყებამდე განსაზღვრავს წერითი ნამუშევრის მიზანსა და აუდიტორიას; შეარჩევს სათანადაო სტილს და ენობრივ საშუალებებს;
- წერის დაწყებამდე ადგენს გეგმას; ადგენს და/ან იყენებს გრაფიკულ მარგანიზებლებს ინფორმაციის დახარისხების, შეჯამების და სხვ. მიზნით;
- საჭირო ენობრივი მასალის მოსაძიებლად იყენებს ბეჭდურ ან ციფრულ რესურსებს, სხვადასხვა დამხმარე საშუალებას (სინონიმურ განმარტებებს, სიტყვათშეხამებებს, მყარ შესიტყვებებს, ფრაზეოლოგიზმებს; მუშაობს ლექსიკონზე...);
- საკუთარი განცდის, შთაბეჭდილების გადმოსაცემად ირჩევს მისთვის სასურველ მხატვრულ ფორმას;
- ტექსტის შედგენისას იყენებს მოდელს/მინიშნებებს, საყრდენებს, ითვალისწინებს მის შინაარსობრივ, კომპოზიციურ და სტრუქტურულ მახასიათებლებს სხვადასხვა სახის ტექსტების შედგენისას;
- გადაიკითხავს ნაწერს და ჩაასწორებს მას აზრობრივი, ენობრივ-სტილური და პუნქტუაციის თვალსაზრისით;
- აზრობრივი სრულყოფის მიზნით, დამატებით სვამს ტექსტში საჭირო სიტყვებსა და გამონათქვამებს;
- ამოწმებს ტექსტში გამოყენებულ ფორმებს და სიტყვათშეხამებებს ენის მოქმედი ნორმების მიხედვით; ტექსტის კორექტირებისას იყენებს ორთოგრაფიულ და უცხო სიტყვათა ლექსიკონს.

დავალებათა / აქტივობათა ნიმუშები:

- ტექსტის/ტექსტის მონაკვეთის შინაარსის გადმოცემა მოკლედ და/ან ვრცლად;
- ნაცნობ თემაზე საკუთარი მოსაზრების გამოთქმა და დასაბუთება;
- მარტივი კვლევითი პროექტის (მაგ., გამოკითხვის) ჩატარება და შედეგების ამსახველი ანგარიშის დაწერა სათანადოდ ორგანიზებული სახით;
- მოსწავლისთვის აზრობრივად საინტერესო ეპიზოდის გაგრძელებისა და დასასრულის საკუთარი ვარიანტის შედგენა;
- მოკლე წერილობითი კომენტარის შედგენა მხატვრულად და აზრობრივად საინტერესო მონაკვეთების შესახებ;
- აზრის გამოთქმა/მსჯელობა ტექსტის და/ან ტექსტში დასმული პრობლემის/საკითხის, მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟის შესახებ;
- მარტივი სახის ორიგინალური თხზულების დაწერა ნაცნობ თმატიკაზე;
- განხორციელებული პროექტის (მაგ., მარტივი სოციოლოგიური გამოკითხვის) წერილობითი ანგარიშის შედგენა;
- ერთი ტიპის ტექსტის შეცვლა სხვა ტიპის ტექსტით (მაგ., მოსმენილი ბიოგრაფიული ტექსტის ინფორმაციის გადმოცემა ტექსტის მთავარ გმირთან ინტერვიუს სახით, ინტერვიუსი - ბიოგრაფიული ტექსტის სახით) და სხვ.

პროგრამის შინაარსი

შედეგების მიღწევა შესაძლებელია მოცემული შინაარსის საფუძველზე:

1. ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება

ძირითადი თემატიკა:

ლექსიკოლოგიური ასპექტი: სიტყვათა მარაგის შევსება სხვადასხვა დარგობრივი ლექსიკით; მოსწავლისთვის უკვე ცნობილი მოდელების მიხედვით ახალი სიტყვებისა და ფრაზების გააზრებულად წარმოება; სათქმელის (როგორც ზეპირად, ასევე წერილობით) ხატოვნად და ამომწურავად გამოხატვა.

გრამატიკული ასპექტი: სახელის ბრუნვისა და რიცხვის ფორმების გამოყენება ზმნურ კონსტრუქციებში; დროის, კილოსა და ასპექტური სახესხვაობების მიხედვით ზმნის გარჩევა; წინადადების მოდალობათა მაკონსტრუირებელი ენობრივ-გრამატიკული საშუალებები და ამ მოდალობათა გადმოსაცემი არავერბალური საშუალებები; სახელისა და ზმნის ძირითადი გრამატიკული კატეგორიები; მათი სინტაქსური ფუნქციების განსაზღვრა წინადადებაში.

ენობრივი გრძნობისა და მეტყველების კულტურის დახვეწა-განვითარება: ორთოეპიული ჩვევების განვითარება; რიტმის, ტემპის როლი და მნიშვნელობა მეტყველებაში; სიტყვათა შერჩევა შინაარსობრივი და ექსპრესიული თვალსაზრისით.

2.ენის კომუნიკაციური ასპექტები

ძირითადი თემატიკა: ინდივიდუალური, ჯგუფური და წყვილური საკომუნიკაციო ამოცანების დაგეგმვა და მომზადება. ტექსტის მიზანი და მისი მიღწევის გამომხატველობითი საშუალებები (ვთქვათ, რეკლამის მაგალითზე); საბავშვო და შემეცნებით-გასართობი პროგრამები, მათი სტრუქტურა და აგების ძირითადი პრინციპები; დისკუსიაში მონაწილეობის ჯგუფური და ინდივიდუალური სტრატეგიები (პასუხისმგებლობა ჯგუფის სახელით გამოთქმულ მოსაზრებაზე). პრესა, პრესის სახეები და სტრუქტურა; ტექსტის ტიპები და მათი განმსაზღვრელი ენობრივ-სტილური ნიშნები (ამ ნიშნების ამოცნობა, განმარტება, შეფასება და წერისას მართებულად გამოყენება). ტექსტის ჩასწორების, კორექტირებისა და რედაქტირების წესები. ტექსტის დამუშავების ელექტრონული პროგრამები.

მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა

ძირითადი თემატიკა: მოთხრობები ბავშვთა ოცნებებსა და ფანტაზიებზე, მათს ცხოვრებაზე, ზნეობრივ პრობლემებზე, ადამიანურ ურთიერთობებზე, ადამიანისა და ბუნების ურთიერთობაზე; სათავგადასავლო ლიტერატურა და ფანტასტიკა; პატრიოტული და სამოქალაქო ჟღერადობის, ისტორიულ თემატიკაზე შექმნილი ნაწარმოებები.

საკითხავი მასალა: ფოლკლორული ჟანრები: ზღაპარი, ბალადა, ლექსები, თქმულებები, ლეგენდები, მითები (ქართული და უცხოური); ბიბლიური მოთხრობები, სახარებისეული იგავები; სხვადასხვა ეპოქის ქართველ და უცხოელ კლასიკოსთა ნაწარმოებები (შესაძლებელია ადაპტირებული ტექსტები); ქართული ლირიკის ნიმუშები; თანამედროვე ქართული პროზის ნიმუშები; საინტერესო ეპიზოდები გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებიდან, მათი მოგონებები და მოგონებები მათზე.